# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 211 (6068)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს? 6



შოთა ნადირაშვილი:



## ოპოზიციის აქტიურობის შედეგი მხოლოდ წლების შემდეგაა მოსალოდნელი 2



## „როდის გაუცრუებს რუსეთი ევროპას საბოლოო იმედს?“ 4



## შავკანიანი თეთრ სახლში 3

## ედუარდ კოკოითი პერევში „ბერლინის კედლის“ აშენებას გეგმავს 7





უნდა გვახსოვდეს, რომ სულმნათი ილია ასე ადვილად არ ულებდა მწერლებს „ივერიის“ კარებს. გამონაკლისი, რომელიც დაუშვა ილიამ, იყო ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი.

## არ ვეემეტება! 8

## ომის ქართული ვერსია კითხვის ნიშნის ქვეშაა 10



The New York Times ON THE WEB

## უცხოელები ყოველთვის მართლდებიან

კომენტარი 14

ინფორმაცია

## ევროკავშირი ერთ ხმაში ლაპარაკობს

**პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საქართველოში მაღალი რანგის ვიზიტებს ქვეყნის მიმართ საერთაშორისო ყურადღების გაგრძელების დასტურად აფასებს.**

ამის შესახებ დავით ბაქრაძემ გუშინ, დანიის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარე ტორ პედერსენთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.



მისი თქმით, ის ფაქტი, რომ საქართველომ კრიზისის პირველი ეტაპი გადაიტანა, არ ნიშნავს, რომ მის მიმართ საერთაშორისო ყურადღება ან მხარდაჭერა სუსტება.

— ეს ვიზიტი კიდევ ერთი გამოხატულებაა იმ მხარდაჭერისა, რომელსაც ევროპელი კოლეგები იჩენენ საქართველოს მიმართ, — დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება შეხვედრას, დავით ბაქრაძემ მას გულახდილი და საინტერესო უწოდა.

მისი ინფორმაციით, დეტალურად იმსჯელეს აგვისტოს მოვლენებზე, რუსეთის აგრესიაზე, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებსა და მასთან დაკავშირებულ გეგმებზე, კონფლიქტებზე.

ბაქრაძემ დანიელ კოლეგას აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის მუშაობის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

ტორ პედერსენის განცხადებით, დანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

რაც შეეხება რუსეთის აგრესიას და ამ აგრესიისადმი ევროკავშირის დამოკიდებულებას, როგორც დანიის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, საფრანგეთმა ამ მიმართულებით კარგი სამუშაო ჩაატარა და მომხდარზე ევროკავშირი „ერთ ხმაში ლაპარაკობს“, ერთიანი რჩება თავის აზრში.

## ევროპამ ყურადღება არ უნდა მოადუნოს!

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და ევროპის მხარდაჭერის აუცილებლობაზე ისაუბრა საპარლამენტო ოპოზიციამ დანიის პარლამენტის დელეგაციასთან შეხვედრისას.**

როგორც შეხვედრის შემდეგ უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რუსეთთან დაპირისპირების ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის თანმიმდევრული პოზიცია, დანია კი, როგორც თარგამაძე ამბობს, ის ევროპული სახელმწიფოა, რომელიც რუსეთთან საუბრისას მკაცრი ტონით და თანმიმდევრულობით გამოირჩევა.

შეხვედრაზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა რუსეთის მიერ მთელი ცივილიზებული სამყაროსადმი გამოწვევებზე ისაუბრეს; ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის შიდა პრობლემებზე, დემოკრატიისა და დიალოგის აუცილებლობაზე და სხვა.

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძემ შეხვედრაზე ხაზი გაუსვა, რომ ევროპამ ყურადღება არ უნდა მოადუნოს, რადგან დემოკრატიული პროცესების გაძლიერება ქვეყანაში შეუძლებელია, ვიდრე საქართველო ოკუპირებულია.

## „ისკანდერები“ შეიძლება ევროპას აღარ დაემუქროს

**რუსეთი კალინინგრადის ოლქში სარაკეტო კომპლექს „ისკანდერს“ არ განათავსებს იმ შემთხვევაში, თუ აშშ აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგებაზე უარს იტყვის. ამის თაობაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ გრუშკომ განაცხადა.**

მისი თქმით, თუ აშშ უარს იტყვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გაშლაზე, მაშინ რუსეთის მხრიდან დაცვის ზომების მიღების საჭიროებაც აღარ იქნება.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, „ისკანდერების“ შესაძლო განთავსება მხოლოდ საპასუხო ნაბიჯი იქნება, რომელიც იმ შემთხვევაში იქნება რეალიზებული, თუ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რაკეტები პოლონეთში, ხოლო რადარი ჩეხეთში განთავსდება.

**ინტერპრესნიუსი**

გვიხაროდეს!

## უწმინდესი კარგადაა, საქართველო გადარჩება



**მეკითხები, გადავრჩებით, მითხარ, როდის?**
**მეშინია, მტერმა ფეხქვეშ არ გაგვთელოს,**
**— უწმინდესი კარგადაა ღვთის წყალობით,**
**ესე იგი, გადარჩება საქართველო.**

**ქართველთათვის უწმინდესის ლოცვას**
**რა სჯობს?**
**ყველა მლოცველს სიყვარული ღმერთთან**
**ეთქმის,**
**უწმინდესს და უნეტარესს გაუმარჯოს,**
**ჩვენი ქვეყნის დიდებაა ერთადერთი.**

**ეს ცხოვრება მართლა არის თურმე მწარე,**
**ობოლი ხარ? ილია გყავს, ნუღარ ობლობ,**
**ვუგალობოთ უწმინდესს და უნეტარესს,**
**საქართველოს დიდ პატრიარქს ვუგალობოთ.**

**აღსრულდება, სამართალი თუ გვწყუროდა,**
**მორწმუნენი უფალს მარად შველას სთხოვდეს,**
**გზა მტყუანთა არის მარად ურწმუნოთა,**
**მართალთა გზას**
**ვერ წარხვეტენ ვერასოდეს.**

**ჯანსულ ჩარკვიანი**
2008 წლის 9 ნოემბერი.

## ლავროვს ეუთოს მისიისა არ სჯერა

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქართველოში მოქმედი ეუთოს მისიის მანდატის გადახედვას ითხოვს და აცხადებს, რომ ის არსებული რეალობისადმი შეუსაბამოა.**

**— საქართველოში წლის ბოლომდე მოქმედი ეუთოს მისიის მანდატი არსებულ რეალობებს არ შეესაბამება. კერძოდ, ის შერეული ძალების კონტროლს და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების მონიტორინგს ითვალისწინებს, რომელიც უკვე აღარ არსებობს, რამდენადაც ქართულმა მხარემ შესაბამისი ხელშეკრულება დაარღვია. ასე, რომ ამ მანდატის გადახედვა აუცილებელია, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.**

**ХО-ЭОБ-ЭБО**

განსჯა

# შოთა ნადირაშვილი: ოპოზიციის აქტიურობის შედეგი მხოლოდ წლების შემდეგაა მოსალოდნელი

**ოპოზიციის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაზე, ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მოთხოვნათა გათვალისწინების შესაძლებლობაზე, იმაზე, თუ რამდენად გამოიკვეთა ოპოზიციის საქმიანობის სამომავლო კონტურები და უნდა ველოდოთ თუ არა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის უახლოეს მომავალში ზრდას, ინტერპრესნიუსი აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო შოთა, ოპოზიციამ აქციაზე ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, „ტელეიმედის“ კანონიერი მფლობელისათვის გადაცემა და ხელისუფლების ზეწოლისაგან ტელევიზიების გათავისუფლება მოითხოვა. თქვენი აზრით, რამდენად შესრულებადია ოპოზიციის მოთხოვნები?**



— ოპოზიციის მოთხოვნები კარგად გამოხატავს ოპოზიციის სურვილს. ძალიან კარგი და სწორი მოთხოვნებია, მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით, ასეთ მოთხოვნებს ხელისუფლება ანგარიშს არ გაუწევს. ოპოზიციის მოთხოვნათა სასარგებლოდ ხელისუფლება არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს.

შექმნილია ვითარება, რომლის დროსაც ძალის გამოყენება არავის უნდა და ეს სწორია. ძალის გამოყენება ცუდია. მეორე მხრივ, ასეთი აქციები ძალის დემონსტრირებაა, მაგრამ ძალის გამოყენებით საქმის ბოლომდე მიყვანა არავის უნდა. არადა, ძალის გამოყენების გარეშე ოპოზიციის საქმიანობა, ნახევრადსაქმიანობაა. აქციები ხელისუფლებაში ხელისუფლებიდან წასვლის სურვილს არ გამოიწვევს. ამიტომაა, რომ ოპოზიციის აქტიურობას ხელისუფლება ძალიან მშვიდად უყურებს. ხელისუფლებამ დააკანონა აზრი იმის შესახებ, რომ ძალადობა არ ვარგა და ეს მართლაც ასეა.

ოპოზიციამ ბრძოლის სხვა გზა უნდა მოძებნიოს, ან შეეგუოს იმ აზრს, რომ მისი ასეთი სახით აქტიურობა ადამიანის გონებასა და განწყობაზე კი მოქმედებს, მაგრამ მას შედეგი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოჰყვება. ახლა მხოლოდ ძალის დემონსტრირებას შეუძლია შედეგის მოცემა და არა სამართლიანობასა და ცოდნას“. ოპოზიციის აქტიურობის შედეგი მხოლოდ წლების შემდეგაა მოსალოდნელი. ასეთ გამოუვალ ვითარებაში ვიმყოფებით.

ოპოზიცია ძალის მქონე ხდება, როდესაც ხელისუფლების შიგნით ოპოზიცია ჩნდება. ასეთ შემთხვევაში ოპოზიციას ხელისუფლებაზე ზემოქმედება შეუძლია. ოპოზიცია უნდა ეცადოს ოპოზიციური ძალის ხელისუფლების შიგნით გაჩენას. ეს ძნელი განსახორციელებელია. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ხელისუფლებაში მოხვედრის შემდეგ თავის მდგომარეობას იყენებს არა საერთო საქმისათვის, არამედ თავისი პირადი კეთილდღეობისა და პრობლემების გადასაწყვეტად. აი, ასეთი სიძნელეების წინაშე დგას ქვეყანა და მთლიანად საზოგადოება.

**— პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება ახალი დემოკრატიული ტალღის აუცილებლობის შესახებ. რამდენად სავარაუდოა ქვეყანაში უახლოეს მომავალში დემოკრატიის ხარისხის შესამჩნევად გაზრდა?**

— ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა ისე დაიწყეს იმ დებულებების გამოყენება, რისთვისაც იბრძოდა ოპოზიცია, თითქოს მათი ცხოვრებაში გატარების სურვილი მათ ჰქონდეთ. ამას ხელისუფლება იმიტომ აკეთებს, რომ ოპოზიციას ხალხის მიმხრობაში ეცილება. ხელისუფლება განცხადებებით იფარგლება და ქვეყანაში უკეთესი დემოკრატიისათვის არაფერს აკეთებს. ხელისუფლება ამგვარი განცხადებებით ნიღბავს თავის უმოქმედობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლებას ქვეყანაში მეტი დემოკრატია სულაც არ სჭირდება.

ოპოზიციის მოთხოვნები უფრო მკაცრი თუ არ იქნება, იგი ხალხის მხარდაჭერას დაკარგავს, ვინაიდან ხელისუფლებაც ხშირად ისევე კრიტიკულ განცხადებებს აკეთებს, როგორსაც ოპოზიცია. ხელისუფლება ეშმაკობს, როცა ოპოზიციის მოთხოვნებსა და დებულებებს იმეორებს და თანაც მათ ოპოზიციაზე ხმამაღლა ახმოვანებს. ამით ხელისუფლებამ ხალხის დიდი ნაწილი მიიმხრო კიდეც. თუ ოპოზიცია უფრო კრიტიკული და მკაცრი არ გახდა, ხელისუფლებასთან ბრძოლაში დამარცხდება.

**— ბევრი ვარაუდობდა, რომ 7 ნოემბრის საპროტესტო აქციით გამოიკვეთებოდა ოპოზიციის მომავალი აქტიურობის კონტურები. თქვენი აზრით, გამოიკვეთა თუ არა ოპოზიციის აქტიურობის რეალური კონტურები?**



— თუ ოპოზიციამ უფრო მკაცრი მოთხოვნები დააყენა, ხალხის მხარდაჭერა მოიპოვა და ხელისუფლებასთან საბრძოლველად განაწყო, შეიძლება ახალი ვითარება მივიღოთ. ხელისუფლებას ბრძოლის არსენალში აქვს დაპირებების გაცემა, არჩევნების გაყალბება და სხვა. ოპოზიციის ბრძოლის შემოთავაზებული გზა ჯერჯერობით არ იძლევა იმ შედეგს, რაც უნდა იყოს და რაც ქვეყანას სჭირდება, რადგან ხელისუფლება მართლაც არ არის დემოკრატიული და ეროვნული. მისმა საქმიანობამ ქვეყანას ბევრი უბედურება მოუტანა და ავნო. ომში დამარცხების გამარჯვებად მონათვლა ხალხის დაცინვის გარდა კომიკური ამბავია.

ოპოზიციას უფრო მკაცრი, სერიოზული, ინტელექტუალური ძალის მქონე მოქმედების გეგმა და მოწოდებები უნდა ჰქონდეს. თუ ოპოზიციას ძალა არ ექნება, ხელისუფებაზე ზემოქმედება ვერ მოხერხდება. ოპოზიციის აქტიურობის შედეგად ხალხის ძალა ძლიერი 4-5 წლის შემდეგ შეიძლება იყოს და არა ახლა.

**კობა ბენდელიანი**

ვარაუდი

# რადიკალურ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს

**ზოგიერთ ქართველ ოპოზიციონერზე ირონიულადაც კი შეიძლება ლაპარაკი — უსაზღვროა მათი მოლოდინი. სააკაშვილს გაპრეზიდენტებისთანავე პოლიტიკურ წარღვნას უწინასწარმეტყველებდნენ. მეორედ მოსვლა კი არა და არ დადგა.**

ერთ-ერთი ბოლო ასეთი ხილვა აგვისტოს შემდგომ მოვლენებს მოჰყვა, როცა ხმა დაირხა: ახლა სააკაშვილი ამერიკაში წავა და უკან აღარ დაბრუნდებაო... დაბრუნდა...

ქართული წინასწარმეტყველების გარეშე ვერც ობამა გახდებოდა თეთრი სახლის შავკანიანი მეპატრონე. ახლა ბევრი დარწმუნებულია, რომ შავკანიანი ობამა თეთრკანიან სააკაშვილს ბრძოლას გამოუცხადებს და პრეზიდენტის ტიტულს ჩამოართმევს.

სამზადისი ოპოზიციაში უკვე დაწყებულია. ზოგი რევოლუციისთვის ემზადება და ზოგიც — ამბოხებისთვის. ერთიანი არც ლიდერია, არც ლოზუნგი და არც განწყობა. არის მხოლოდ სურვილი — ყველას სურს საკუთარი თავი ხელისუფლებაში იხილოს, მათ შორის ხელისუფლებასაც.

თუმცა ექსპერტები, ვინც დასავლეთის პოლიტგემოვნებას კარგად იცნობენ, ამბობენ, რომ თეთრი სახლი რადიკალურ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს. ის არ დაეხმარება რომელიმე ერთ პარტიას ან პოლიტიკურ ფიგურას. ახალი ადმინისტრაცია შეეცდება, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ აქ შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარემო და გაიმარჯვოს ძლიერმა, ვისაც უფრო მეტი დასაყრდენი ექნება. ამისათვის კი თეთრი სახლი აქ არასამთავრობების ინსტიტუტს გააძლიერებს, შეეცდება, მეტი სახსრები ჩადოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ამერიკული დაფინანსების პირველი ტალღა საქართველოში ჯერ კიდევ კლინტონის დროს დაიწყო. პირველი გაბედული ნაბიჯები სწორედ მაშინ გადაიდგა. მოგვიანებით კი თავად კლინტონმა აღნიშნა, რომ ამ ინსტიტუტმა საქართველოში გაამართლა და რომ ამერიკული დაფინანსების წყალობით ნიუ-იორკში განათლება მიიღო სააკაშვილმა და ის პრეზიდენტი გახდა.

შესაბამისად, დემოკრატები ამ პოლიტიკას გააგრძელებენ — ასეთია ექსპერტების შეხედულება. რევოლუციები არ არის მათი სტილი. თავის დროზე, როგორც მიანიშნებენ, არც ამერიკის ელჩს სურდა ვარდების რევოლუცია. ამბობენ, რომ ის ყველანაირად ცდილობდა შევარდნაძის ვადამდელ არჩევნებზე დაყოლიებას, მაგრამ უშედეგოდ. ახლა ამ „კარტის გათამაშებას" სააკაშვილის ოპოზიცია ცდილობს.

მეორე, რაც შეიძლება შეიცვალოს, ეს დემოკრატების დამოკიდებულებაა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი ამბობდა, რომ ვაშინგტონი შევარდნაძის ხელისუფლებაზე ზეწოლას ადვილად ახერხებდა, ახლა კი სააკაშვილის გუნდი იმდენად კარგად იცნობს ადმინისტრაციის პირველ პირებს, რომ ამ ხელისუფლებაზე რაიმე სახის გავლენას არ ახდენენო.

ელოდებიან, რომ ობამას ადმინისტრაცია ამ მხრივ უფრო შემტევი იქნება და არ მოერიდება საჭირო გადაწყვეტილებების ლობირებას.

მესამე, რასაც ახალი ადმინისტრაცია ახლებურად მიუდგება, ეს რუსეთია. თემა, რომელიც ერთიანად ალელვებთ მოსკოვშიც და თბილისშიც. რუსეთში დარწმუნებულები არიან, რომ გარკვეული გაუგებრობების მიუხედავად, თეთრ სახლთან საერთო ენას გამონახავენ. რუსეთის ელჩმა ნატოში როგოზინმა, პირდაპირ განაცხადა, რომ ნატო-რუსეთს შორის შეჩერებული თანამშრომლობა ახალი ადმინისტრაციის დანიშვნისთანავე აღდგება. რუსი ექსპერტების განმარტებით, ობამა უფრო ზომიერი იყო მოსკოვის მიმართ და მაკქეინის მსგავს აგრესიულ განცხადებებს არ აკეთებდა, შესაბამისად, მედვედევი, რომელიც ობამაზე სულ ოთხი წლით უმცროსია, საერთო ენასაც გამონახავს.

როგორი იქნება ობამა-სააკაშვილის ურთიერთობა? ახლა ძნელია ამ შეკითხვაზე პასუხი. ბევრი რამ თავად სააკაშვილზედაც იქნება დამოკიდებული. რეფორმებზე, რომელსაც ის გაატარებს, დემოკრატიის ხარისხზე, სოციალურ ფონზე... ყველაფერზე, რაც მის მიმართ ხალხის კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას გაზრდის.

ცვლილებებისთვის ხელისუფლებაც ემზადება: ყველანაირად ცდილობს სოციალური ფონის ჩაცხრობას, ნოემბრის აქციების წინ პოლიტიკური დებატები გახსნა მეორე არხზე, გამოაცხადა, რომ თვის ბოლოსთვის დიდ ამნისტიას ამზადებს, ოპოზიციას შეთავაზა თანამშრომლობა... სხვა საქმეა, რომ ოპოზიცია არ თანხმდება.

ასე რომ, ჯერ კიდევ წინა გვაქვს იმის სიამოვნება, გავერკვეთ, ვის აქვს პოლიტიკაში საქმე შავად და ვის — თეთრად.

**ქეთი ხატიაშვილი,**
**„ჯი-ეიჩ-ენი"**



# შავკანიანი თეთრ სახლში

**„შავკანიანი თეთრ სახლში" — ამ სახელწოდებით ფედერიკ მოროუს მემუარები 60-იან წლებში გამოიცა. იგი პირველი იყო იმ აფროამერიკელთაგან, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. 1960 წელს მოროუ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის მრჩევლად აიყვანა.** იგი მემუარებში ვრცლად აღწერს იმ გაუცხოებას, რასაც მაშინ ამერიკის უმაღლესი პოლიტიკური ელიტისგან გრძნობდა. მორუო იხსენებს, რომ თეთრ სახლში მას თეთრკანიან ქალბატონთან მარტო დარჩენის უფლებასაც კი არ აძლევდნენ.

იგი აღწერს, რომ იმ პერიოდში შავკანიანებს ამერიკაში „ძველურებად" აფასებდნენ და მათთვის ცალკე ფუნქციონირებდა სამშობიაროები, სკოლები და თვით სასაფლაოებიც კი.

როდესაც ფედერიკ მოროუ ამ მემუარებს წერდა, იგი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პენსილვანიის შტატში, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში დაიბადებოდა აფროამერიკელი, რომელიც წლების შემდეგ შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდებოდა და თეთრ სახლში მემკვიდრეობად ორ ომს (ერაყსა და ავღანეთში) და ფინანსურ კრიზისს ჩაიბარებდა.

47 წლის შავკანიანის ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებით შეერთებულ შტატებში ისტორიული სტერეოტიპი დაინგრა. დღეს მთელი მსოფლიო მიუთითებს, რომ ამერიკა თავისუფალი სამყაროს ლიდერის სტატუსს ინარჩუნებს.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატებმა ამერიკა არჩევნების დასაწყისშივე სარისკო გამოწვევის წინაშე დააყენეს, როდესაც კანდიდატებად მცირე პოლიტიკური წარსულის მქონე ფერადკანიანი ბარაკ ობამა და თეთრ სახლში მოშინაურებული ყოფილი პირველი ლედი ჰილარი კლინტონი წარადგინეს. „დემოკრატები" რისკზე წავიდნენ, რადგან ამერიკელებს ამ დრომდე არც ფერადკანიანი და არც ქალი პრეზიდენტად არ აურჩევიათ. მეტიც, ამერიკის პოლიტიკური ელიტა ამ დრომდე დარწმუნებული იყო, რომ ამერიკელები არასოდეს აირჩევდნენ პრეზიდენტად ქალს და შავკანიანს. მაგრამ, ისინი შეცდნენ.

ამბობენ, რომ შავკანიანის პრეზიდენტად არჩევით დასრულდა სამოქალაქო ომი, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. მაშინ, როცა ობამა დაიბადა, შავკანიანებს ჯერ კიდევ ეკრძალებოდათ ნიუ-იორკის ფეშენებელურ უბნებში ცხოვრება, მაღალი კლასის სალონებში მათ მომსახურებაზე უარს ეუბნებოდნენ, შტატიდან შტატში, ქალაქიდან ქალაქში გადაადგილების დროსაც კი, შავკანიანებისთვის ცალკე შენდებოდა სასტუმროები და რესტორნები.

თუმცა, თავის გამოსვლებში ობამა არ აკეთებდა აქცენტს შავკანიანების დაუღალავ და ხანგრძლივ ბრძოლაზე, მოეპოვებინათ ისეთივე უფლებები, როგორიც თეთრკანიანებს ჰქონდათ. ექსპერტების შეფასებით, ობამა თავის გამოსვლებში იმდენად შავკანიანი იყო, რამდენიც თეთრკანიანი.

ასე რომ, ახლა შავკანიანებს იმედი აქვთ, რომ ობამა უკვე თეთრი სახლიდან იზრუნებს რასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ. ის ახალგაზრდაა, ენერგიული, პრინციპული, დარწმუნებული თავის შესაძლებლობებსა და წარმატებაში. აქვს მოთმინების უნარი, შეუძლია იყოს თბილიც და მკაცრიც.... ზომიერიც და ემოციურიც. ცვლილებები! — ეს არის მისი მთავარი სლოგანი. თავის გამოსვლებში ამბობს, რომ ის შეცვლის მსოფლიოს.

მაგრამ როგორია დღეს მსოფლიო? ერაყისა და ვიეტნამის ომი, დაპირისპირება პალესტინასა და ისრაელს შორის, ფინანსური კრიზისი, ნატო, რუსეთი, ტერორიზმის საფრთხე... ეყოფა კი ობამას შესაძლებლობები ამ ყველაფერს? ხომ არ მოხდება ისე, რომ თავად მსოფლიო შეცვლის იმედითა და წარმატებებში დარწმუნებულ ობამას?

ინფორმაცია

## ოსებს საზღვარი საჩხერესთან გადმოაქვთ

საჩხერის რაიონის სოფელ პერევში ვითარება უცვლელია.

როგორც საჩხერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ განაცხადა, ოსური შეიარაღებული ბანდფორმირებები სოფელში ამ დრომდე რჩებიან.



ამასთან, ცერცვაძე არ ადასტურებს, რომ მოსახლეობამ სოფელი დატოვა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ უსაფრთხოების მიზნით პერევიდან ქალები და ბავშვები გავიდნენ. შეწყდა სასწავლო პროცესიც.

სოფელ პერევში გუშინ ევროკავშირის დამკვირვებლებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც ვითარებას ადგილზე გაეცნენ, თუმცა, ზურაბ ცერცვაძის განმარტებით, მათ რაიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრა არ ჰქონიათ.

50-მდე შეიარაღებული ოსი სოფელ პერევში რამდენიმე დღის წინათ შევიდა. ისინი, რუს ოკუპანტებთან ერთად, უკანონო ბლოკ-საგუშაგოზე დგანან.

ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ სოფელ პერევთან ე.წ. სახელმწიფო საზღვარს მოაწყობენ.

## ვინ დანაღმა დვანი?

ქარელის რაიონის სოფელ დვანთან გუშინ მომხდარმა აფეთქებამ ორი ქართველი სამართალდამცავის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ნაღმი მაშინ ამოქმედდა, როცა გზის აღნიშნულ მონაკვეთზე შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმის ავტომანქანა გადაადგილდებოდა.




აფეთქების შედეგად ეკიპაჟის ორი წევრი ხაჭაპურიძე და კახნიაშვილი შემთხვევის ადგილზე დაიღუპნენ, ხოლო სამი დაჭრილი პოლიციელი გორის სამხედრო ჰოსპიტალშია გადაყვანილი.

წინასწარი ინფორმაციით, სოფელ დვანთან ტერიტორია ახალი დანაღმულია. მოსახლეობა და ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აქ, როგორც სამართალდამცავები, ისე, ადგილობრივები ხშირად გადაადგილდებოდნენ, თუმცა აფეთქება აქამდე არ მომხდარა. სავარაუდოდ, ნაღმი ღამით უნდა იყოს დადებული.

რაც შეეხება დაჭრილების მდგომარეობას, ერთ-ერთის მდგომარეობა შედარებით მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე დასახმარებლად მივიდა პოლიციის ჯგუფი, რა დროსაც ამოქმედდა მეორე ნაღმი და მსუბუქად დაიჭრა პოლიციის ორი თანამშრომელი: გიორგი მდინარაძე და ენის ჯონიდავა, ხოლო მძიმედ დაიჭრა გიორგი შუბითიძე, რომელიც გადაყვანილია გორის ჰოსპიტალში. მისი მდგომარეობა მძიმეა.

ინტერპრესნიუსი

## აგრესორი აგრესორად რჩება

***ევროკავშირის ლიდერთა მიერ რუსეთთან ევროპის თანამშრომლობის მზადყოფნის შესახებ გაკეთებულ განცხადებებზე, იმაზე, თუ რას შეიძლება ელოდოს საქართველო ევროპისა და აშშ-საგან, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ დავით აფრასიძეს ესაუბრა.***



# დავით აფრასიძე: როდის გაუცრუებს რუსეთი ევროპას საბოლოო იმედს?

**— ბატონო დავით, საქართველოსთან ომის გამო რუსეთის შესახებ ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ მიღებული მკაცრი დადგენილებების მიუხედავად, ევროკავშირის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისა და ევროკომისიის თავმჯდომარის ჟოზე ბაროზოს განცხადებები იმაზე მიუთითებს, რომ ევროპა რუსეთს თანამშრომლობის ხელს უწვდის. რა უნდა ვიფიქროთ, ევროპა ეგუება რუსეთის ამბიციას, მხოლოდ რუსეთს ჰქონდეს კავკასიაზე ექსკლუზიური უფლება, თუ რა ხდება?**

— სამწუხაროდ, არ უნდა გვქონდეს ძალიან დიდი მოლოდინი იმისა, რომ საქართველოს საკითხი იქნება ერთადერთი და ექსკლუზიური ევროპა-რუსეთის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო რეალისტურად უნდა დავინახოთ ჩვენი შესაძლებლობები და ჩვენი ადგილიც საერთაშორისო პოლიტიკაში. განსაკუთრებით მანამ, ვიდრე არ არის გარკვეული ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ხედვა კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

ძალიან სამწუხაროა, რომ ევროპელები, განსაკუთრებით მედვედევის განცხადებების შემდეგ, ირჩევენ რუსეთთან თანამშრომლობას. არ მგონია, რომ რუსეთი ექვემდებარებოდეს ჩართვას იმ პროცესებში, რომლის იმედიც ევროპას აქვს. ამიტომ, თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ევროპელებს სურთ რუსეთთან ურთიერთობაში ახალი გზების გამონახვა, მაშინ კიდევ ერთხელ უნდა დაველოდოთ და დაველოდოთ იმას, რომ ეს იმედები ევროპას გაუცრუვდება. დარწმუნებული ვარ, კრემლი ევროპის მხრიდან რუსეთის მიმართ დათმობებს ევროპის სისუსტედ აღიქვამს, ეს კი, ძალიან ცუდ შედეგებს გამოიღებს.

**— უდავოა, აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკაში გაითვალისწინებს ამერიკელ მოქალაქეთა დაკვეთას იმის თაობაზე, რომ აშშ-ს გავლენა რაც შეიძლება ნაკლებად იყოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ასეთ ვითარებაში რას შეიძლება ელოდოს საქართველო ამერიკისგან?**

— ევროპის სურვილი, ითანამშრომლოს რუსეთთან, არის ევროპელების გზა, მიდგომა და არა მათი სტრატეგიული ხედვა იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად შეიძლება ყველა საკითხი გადაიდოს და გაიწიროს. ევროპას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ევროპა რაც უფრო მეტს დაუთმობს რუსეთს, იგი ევროპისგან მეტს მოითხოვს.

გეთანხმებით, რომ ახალი პრეზიდენტის მმართველობის პირობებში ამერიკა შეიძლება საკუთარ თავზე ორიენტირებული გახდეს და ნაკლებად ჩაერიოს საერთაშორისო საკითხებში. ახალი ადმინისტრაციის პირველი ვადის დროს ხელისუფლება უფრო ორიენტირებულია ამერიკის შიდა პრობლემებზე. ბუშიც კი პირველი ვადის დროს ცდილობდა ყოფილიყო ამერიკის შიდა პრობლემებზე ორიენტირებული, მაგრამ 2001 წლის სექტემბერმა აიძულა იგი, სწრაფად გადართულიყო საერთაშორისო საქმეებზე.

რა თქმა უნდა, ეს საფრთხე არსებობს. მაგრამ ობამას შემთხვევაში, ის ბუშისაგან იბარებს ამერიკას, რომელსაც შიდა პრობლემების გარდა უამრავი პრობლემა აქვს ქვეყნის გარეთაც. ამერიკა ვერ გაექცევა ირანის საკითხს და აქედან გამომდინარე, ვერც რუსეთთან ურთიერთობას. ამდენად, მე მაინც მგონია, რომ ევროპელებისგან განსხვავებით, ამერიკა თავს უფლებას ვერ მისცემს, ის საკითხები, რომელიც რუსეთს უკავშირდება გვერდზე გადადოს. ეს რომ ასე არ მოხდეს, თავად რუსეთი აქტიურობს და ყოველდღე სულ უფრო და უფრო აგრესიულ განცხადებებს აკეთებს და შესაბამის ნაბიჯებს დგამს.

**— „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი არც ენერგიასა და არც ფინანსებს არ ზოგავს საიმისოდ, რომ ომის დაწყების ქართული ვერსია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. მაშინ, როცა ამ მიმართულებით ქართული მხრიდან ცოტა რამ თუ კეთდება. რა უნდა ქნას საქართველოს ხელისუფლებამ?**

— უნდა გაგრძელდეს იმ საპარლამენტო კომისიის მუშაობა, რომელმაც საქმიანობა დიდი ზარ-ზეიმით დაიწყო. რატომღაც, მისი საქმიანობა მიჩუმათდა. ამ საკითხებზე მუშაობა ქვეყნის შიგნით უნდა გაგრძელდეს. გარდა ამისა, ჩვენ ყოველდღე მკაფიოდ უნდა ვაცხადოთ, რომ მივესალმებით ამ საკითხებზე საერთაშორისო კომისიის შექმნასა და მუშაობას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ამგვარი კომისია შეიქმნას და კომისიის წევრები მაქსიმალურად ჩავაყენოთ საქმის კურსში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აგვისტომდე არსებულ ვითარებაზე და აგვისტოს მოვლენებზე.

უდავოა, რუსეთის მხრიდან გაგრძელდება ამ საკითხებში საერთაშორისო თანამეგობრობის დეზინფორმირება. ფაქტია, რომ ჩვენ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით — ვითარება დაამძიმა აშშ-ში ადმინისტრაციის ცვლილებამ, ევროპის მხრიდან იმ სიგნალებმა, რომელიც რუსეთის მიმართ ისმის. კრემლისადმი ევროპის დამოკიდებულება რუსეთს აძლიერებს და მორალურად (ფსიქოლოგიურადაც!) უმტკიცებს აზრს, რომ იგი სწორად იქცევა. დარწმუნებული ვარ, ევროპელები ამას ხედავენ, მაგრამ ვერ ვხვდები, რუსეთთან ამ ურთიერთობებზე რატომ მიდიან. რუსეთი აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის დეზინფორმირებას კიდევ უფრო მეტად გააააქტიურებს. რუსეთს სჯერა, რომ საერთაშორისო ვითარება კრემლის სასარგებლოდ იცვლება.

**კობა ბენდელიანი**

## ინფორმაცია

### დოლარის კურსის აწევა ხელისუფლების გადაწყვეტილებაა

**ლარის კურსის ვარდნას აშშ დოლართან მიმართებაში ექსპერტი გია ხუხაშვილი ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უკავშირებს.**

**როგორც მან აღნიშნა, ლარის კურსის დაცემა ფინანსური სისტემის საბაზრო პრინციპებით მართვაზე გადასვლას არანაირად არ უკავშირდება.**

**— ვფიქრობ, რომ აქაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებსთან გვაქვს საქმე. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ლარი რაღაც პარამეტრამდე მიუშვას. რა თქმა უნდა, ეკონომიკისთვის ჯობია, რომ საბაზრო პრინციპების მიხედვით ლაგდებოდეს სავალუტო კურსები, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ აქ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.**

**მისივე თქმით, შესაძლოა, კურსი ხელისუფლებამ 1.65-170 ნიშნულამდეც მიიყვანოს.**

**— ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, თუმცა, ამას ოფიციალურად არ აცხადებს, რომ კურსი გარკვეულ ნიშნულამდე მიიყვანოს და გააჩეროს. გამომდინარე იქიდან, რომ სავალუტო რეზერვებთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა და ა.შ. გარკვეული ნაბიჯის გაკეთება პოლიტიკურად იქნა გადაწყვეტილი, — განაცხადა ექსპერტმა.**

**მისი თქმით, სოციალური თვალსაზრისით ამას გარკვეული პრობლემები მოჰყვება, რადგან ინფლაციას აჩქარებს.**

**— ბუნებრივია, ადამიანებისთვის, სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ეს არის ძალიან ცუდი, გამომდინარე იქიდან, რომ, ძირითადად, იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ეს იქნება სერიოზული ბიძგი ფასების ზრდისთვის სამომხმარებლო პროდუქტზე. მეორე მხრივ, გარკვეულ სტიმულს აძლევს ექსპორტს, მაგრამ საექსპორტო პროდუქცია ჩვენს ქვეყანას, პრაქტიკულად, არა აქვს. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით სერიოზული ეფექტი მოსალოდნელი არ არის, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.**



ინტერპრესნიუსი

### კავკასიელი პარლამენტარები გერმანიას სტუმრობენ

**ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატები გერმანიაში ერთობლივი საინფორმაციო ვიზიტით იმყოფებიან. ვიზიტი, რომელიც 9 ნოემბერს დაიწყო და 14 ნოემბრამდე გასტანს, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ინიციატივით იმართება.**

**საქართველოს დელეგაციას ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი მინაშვილი წარმოადგენენ.**

**ვიზიტის მიზანია, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის პარლამენტის წევრები გერმანიის პარლამენტარიზმის გამოცდილებას გაეცნონ და სამხრეთ კავკასიაში სამართლისა და სასამართლო რეფორმების აქტუალურ საკითხებზე იმსჯელონ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

### სარიშვილი ოპოზიციას კვლავ დაუპირისპირდა

**პოლიტიკური პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი გაერთიანებულ ოპოზიციას ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში ადანაშაულებს. სარიშვილის გაღიზიანება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ოპოზიციის მიერ ხელისუფლების მიმართ წარდგენილ 16-კაციან პოლიტპატიმართა სიაში ვერ მოხვდნენ იგორ გიორგაძის მომხრეები.**



**— დღევანდელი ოპოზიცია იგივე პოლიტიკურ თამაშს ეწევა, რასაც ხელისუფლება. ისინი პოლიტპატიმართა სიას მხოლოდ პირადი სიმპათია-ანთიპათიის მიხედვით ადგენენ. პირადად მე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ და ეს გასაკვირი არცაა — ისინი რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ გარკვეული პერიოდი ერთ გუნდს წარმოადგენდნენ. იგორ გიორგაძის მხარდამჭერები თავად სოზარ სუბარმაც აღიარა პოლიტიკურ პატიმრებად და გამიჩნდა იმედი, რომ ოპოზიცია თავის მოთხოვნებში ამ საკითხსაც შეიტანდა, თუმცა ამაოდ, — განაცხადა ირინა სარიშვილმა.**

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია კი აცხადებს, რომ ოპოზიციის მიერ შედგენილ პოლიტპატიმართა სიაში ამ ეტაპზე მხოლოდ ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებიც გასული წლის ოქტომბრის შემდეგ დააკავეს. ბესელიას თქმით, ცალკეა მომზადებული იმ ადამიანთა სია, რომლებიც ასევე პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან.**

### ბალარჯიშვილს სიღნაღელებმა ვერაფერი მოუხერხეს

**სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სხვადასხვა დარღვევებში მხილებული ბოდბის სკოლა-პანსიონის დირექტორი თემურ ბალარჯიშვილი უხელმძღვანელებს.**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, სკოლა-პანსიონის ხელმძღვანელობის დროს ბალარჯიშვილს არაერთი დარღვევა აღმოუჩინეს, მათ შორის ფინანსურიც.**

**— ბავშვთა სახლში დარღვევები და დირექტორის მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები გამოავლინეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმაც, მაგრამ ბალარჯიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი არცერთხელ არ დამდგარა. ბალარჯიშვილს მისივე შვილი მფარველობს, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსანია, — აცხადებენ „კახეთის საინფორმაციო“ ცენტრში.**

**სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ადგილი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ნოდარ კოჭლამაზაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 211. სამშაბათი, 11 ნოემბერი, 2008 წელი.

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

უკანასკნელი მბჟუტავი იმედი კიდევ იგრძნობა წერილში გენერალ მატიუშკინისადმი, 1724 წლის გაზაფხულზე, როცა ექსპედიცია უკვე გაუქმდა — ოსმალეთთან შეთანხმებისა გამო.

V.

ხოლო ოსმალები უკვე დაპატრონებოდნენ ქართლსა და კახეთს, და პარპაშებდნენ, როგორც ოსმალებმა იციან. ტახტებზე მათთვის სასურველი ადამიანები დააყენეს, და მართლა ისე მბრძანებლობდნენ, როგორც ბატონ-პატრონნი.

იცოდეთ, სწერს ვახტანგი ბოლო წიგნში იმპერატორს, „ჩემი შვილი ბაქარ რომ თბილის ურუმებთან იყო, მრავლის უსამართლოებისაგან ვერ გაუძლო და გამოვიდა. მთელი ქვეყანა სრულიად გაპარტახებულია, ბევრი სოფელი მიწასთან არის გასწორებული, ხოლო მცხოვრებნი მონებად წაასხეს. „ერთი შებრალება რამ გვაღირსეთ, თუ რამ იქნება, ამ ზაფხულს, თვარამ მას უკან აქაური საქმე და შეწყალება ურგები იქნება“.

1723 წლის ზაფხულის დამლევს ვახტანგი ჩავიდა წმ. ჯვრის ციხე-სიმაგრეში, რომელიც პეტრემ ააშენა 1722 წელს სულაკზე. მასთან ერთად რუსეთს გაემგზავრა 1.000-ზე მეტი სხვადასხვა წოდების პირი, ბატონიშვილებითა და ეკლესიის მღვდელმთავრებით დაწყებული. ამ ემიგრაციამ თვალსაჩინო როლი შეასრულა XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიაში. საგრძნობლად გაძლიერდა რუსეთთან კავშირები, მოსკოვში შეიქმნა სალიტერატურო მოღვაწეობის კერა. რუსეთის ხელისუფალთა განკარგულებაში აღმოჩნდა იმ პირთა კონტინგენტი, ვინც იცნობდა საქართველოს საქმეებს.

ჩვენ არ შევეხებით არც ამ ემიგრაციის სვე-ბედს, არც ვახტანგის შემდგომ ხვედრს.

თავისებური და უაღრესად საინტერესოა მაშინდელი, პეტრეს ანდერძის ერთგული რუსეთის მთავრობისათვის — დამოკიდებულება ქართველების მიმართ, მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეფისადმი დახმარება მოიხსნა დღის წესრიგიდან, როგორც პეტრეს საალმოსავლეთო პოლიტიკისადმი შეუსაბამო. ქართველთა მისწრაფებები და გეგმები მას (პეტრეს — **ა. მ.**) ოდნავადაც არ აინტერესებდა; იგი ვახტანგში ხედავდა მხოლოდ თავისი პოლიტიკის იარაღს, ხოლო ქართველებში — ელემენტს, რომელსაც დაასახლებდა ახალ კასპიისპირა სამფლობელოებში, რატომაც არა! შემდეგ, იგი ქართველებს მიიჩნევდა მისთვის საჭირო სამხედრო მასალად — და ვახტანგის ამალის მრავალრიცხოვნობამ არათუ არ გააოცა რუსეთის მთავრობა — პირიქით, ისინი იმედგაცრუებული დარჩნენ, რა ცოტა ქართველი ჩამოიყვანაო ვახტანგმა!

ერთი სიტყვით, ცდილობდნენ სარგებელი გამოედნოთ ამალისგანაც და მეფისგანაც. იმედს, რომ საქართველოში დაბრუნდებოდა და კვლავ დაიჭერდა ტახტს, ვახტანგი ვერც შემდეგ ელეოდა, როცა რუსეთის მთავრობის სადიპლომატო დავალებებს ასრულებდა. ეს იმედები არ აუსრულდა, სამაგიეროდ, რუსეთს არსებითი სამსახური გაუწია სპარსულ საქმეებში.

VI.

თუ რაოდენ მძიმე იყო ოსმალთა უღელი 1723-1724 წლებში, ამის მჭევრმეტყველად მოწმობენ თანამედროვეთა წერილები. „აწე, ჩემი სამწყსოს საქართველოს უსჯულონი მოერივნენ... იავარ ჰყვეს ხატნი და ჯვარნი, ეკლესიანი ცეცხლისა მიერ დაწვნეს და მრავალნი სულნი ქრისტიანენი მოსწყვიდნეს. ოხერ ჰყვეს ქალაქნი და სოფელნი“, სწერს კათალიკოსი დომენტი, მრავალტანჯული წინამძღოლი ქართული ეკლესიისა, პეტრე პირველს 1723 წლის მაისში.

იმავე წლის შემოდგომაზე „ქართლის თავადთაგან უპირველესი“, ოთარ არაგვის ერისთავი თერგის ქალაქის გუბერნატორს აცნობებს: „ამისგან უფრო საქრისტიანოს საქმე აღარ გაუჭირდების, ქრისტეს სარწმუნოება და ძალი და ხმალი ახლა გაგიჩნდებისთ. თუ ქვეყნის შველა გინდათ, ნუღარ გვიანობთ“. იგივე ოთარი თავის ძმას, არქიმანდრიტ რომანოზს, წერილში ეუბნება: „თორემ, სათათროდ რომ მოვკვდეთ, **ხელმწიფე ნუღარ გაგვიწყრების**“. ცხადია, რომ ქართველები რუსეთის იმპერატორს რაცხდნენ არა მარტო ძლიერ ხელმწიფედ, არამედ მართლმადიდებლობის დამცველადაც.

მართლმადიდებლობის სახელით აბამდნენ მათ საპოლიტიკო წამოწყებებში, რომელთა ლიკვიდაციის შემდეგაც ბედის ანაბარა ტოვებდნენ. ქართველებს ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ, რომ პოლიტიკაში ისეთი რამ, როგორიც არის „მართლმადიდებლობა“, „ურჯულოების უღელი“, „ქრისტეს მტრებთან ბრძოლა“ უნდა აღიქვა როგორც Cum grano salus.

„ხოლო აწ, ნათქვამია ერთ-ერთ თანამედროვე წერილში იმპერატრიცა ეკატერინე I-სადმი, აჩრდილს ქვეშე ფრთეთა მაღლად მფრინვალისა ყოვლისა რუსეთის ორბისა მიმართ მოლტოლვილთა... ვითარცა... მართლმადიდებლობისა ყოვლისა რუსეთისა **ორბმან** ყოვლად მოწყალედ განიმარტოს ფრთენი თვისთა და ჩვენ მართვეთა თვისთა ზედა მოიხილოს“.

მაგრამ ყველაზე ტრაგიკულად ჟღერს თხოვნა, დაეხმარონ კახეთის წოდებებს (ასევე 1725 წ.). კახეთის ეპისკოპოსები, დიდებულნი, სხვა თავადნი, აზნაურნი და გლეხნი, ჩვენ, ყველანი ქრისტეს რჯულს მინდობილნი, გულგატეხილნი, დევნილნი ქრისტეს უარმყოფელთაგან, თავშიცემით და გოდებით მოვახსენებთ დიდ ხელმწიფეს... ხელმწიფე მუდამ გვახარებს ხსნის იმედით. ამ იმედმა კიდევ უფრო მეტად განარისხა მაჰმადიანები. გულშიჩამწვდომი სიტყვებით აღწერენ კახელები აოხრებას და ჩაგვრას, მათ რომ ერგო წილად. ცოცხლად გადარჩენილებმა მთას მისცეს თავი, სადაც აუტანელ დღეში არიან. „ხელმწიფის იმედი და ჯარის მოსვლის სიხარული გვაძლებინებს, თვარამ **ნადირიც** ვერ **მოითმენს** ჩვენს საქმეს...“

მართალია, კახელებს სთავაზობდნენ, თერგის ნაპირებზე დასახლებულიყვნენ (იქ, სადაც ზღვას ერთვის), რაც რუსთა ინტერესებს შეესაბამებოდა; მაგრამ ქართველებს ეს კარგს არაფერს უქადდა. „საქართველო **ყოვლადწმიდის ღვთისმშობლის წილხვდომილია** და წმიდის მოციქულს ნინოსაგან მოქცეული და განათლებული არის. არც ყოვლადწმიდა წარმართებდა და ხელს მოგვიმართებდა სხვას ალაგს რომ წავსულიყავით, ვერც წმიდის **მოციქულის ნინოს** საფლავი გაუშვით და სხვების **წმინდანების** საფლავიც ბევრია ჩვენს ქვეყანაში“.

ემიგრაცია იქნებოდა უარის თქმა მთელს წარსულსა და მომავალზე, ქართველები ამას არ დათანხმდნენ.

VII.

1724 წლის ტრაქტატით რუსეთმა ცნო ოსმალეთის ბატონობა საქართველოზე. საამური იმედები ოსმალთა უღლით დასრულდა. რუსეთის მთავრობამ არ ჩათვალა საჭიროდ ან შესაძლებლად დაეცვა საქართველო ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების განაწილებისას.

მართალია, პეტრე თავის ხელისუფალთ ავალებდა, ფხიზლად ედევნებინათ თვალი ყველაფრისათვის, რაც იმ ადგილებში ხდებოდა, უბრძანა, შეესწავლათ კასპიის ზღვიდან საქართველოში მიმავალი გზები და ა.შ. მაგრამ, ალბათ, ამასთან ასულდგმულებდა არა იმდენად ქართველებისათვის ზრუნვა, რამდენადაც წადილი, როგორც კი მიეცემოდა შესაძლებლობა, განევრცო თავისი სამფლობელო კასპიიდან დასავლეთით.

პეტრეს პოლიტიკა ქართველთა მიმართ — ჩვეულებრივი რეალისტური პოლიტიკაა, და, თუ ქართველნი მეტისმეტად გულუბრყვილოდ ამყარებდნენ იმედს მართლმადიდებლობაზე და სწამდათ „აგარიანებთან ბრძოლისა“, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მათი ელემენტარული ბრძოლა არსებობისათვის სულ იოლად ილებდა რელიგიურ ელფერს, და მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ასწვდომოდნენ უფრო რთულ საპოლიტიკო იდეებს — საამისოდ მათ არ ჰყოფნიდა უფრო რთული ინტერესები. პრიმიტიულ წყობილებას მოსდევს პრიმიტიულივე აზროვნება და პრიმიტიული პოლიტიკა.


З. АВАЛОВЪ

ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ КЪ РОССІИ

С.-ПЕТЕРБУРГЪ

1901

ამიტომ, ვახტანგის კატასტროფამ ქართველებს ჭკუა ვერ ასწავლა. XVIII საუკუნის დანარჩენი ნაწილი, ისინი განაგრძობდნენ იდეების იმავე წრეში ტრიალს, და მათი შეხედულებანი რუსეთზე არ შეცვლილა. ინტერესები და კულტურა იგივე რჩებოდა — და პოლიტიკა განცვიფრებს თავისი ამოსავალი წერტილებისა და შეცდომების უცვლელობით.

ვახტანგის უბედურებებს არავითარი კრიტიკა არ აღუძრავს.

1754 წელს თბილისს დაბრუნდა ელჩობა, რომელიც იმპერატრიცა ელისაბედთან იყო წარგზავნილი დახმარების სათხოვნელად; ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, განმარტავს რა ამ ელჩობის წარუმატებლობას, წერს: „...თორემ დიდი მოხმარების და ჯარის იმედი გვქონდა და დიდისა მაღლისა სანატრელის პეტრე ხელმწიფის ანდერძიც იყო. საქართველოს მეფე ვახტანგ, რომ რუსეთს მოვიდა შესახვეწელად ჯარის სათხოვნელად ქართლის მიხმარებისათვის და მეფე ვახტანგ ველარ მოესწრა: რუსეთის მპყრობელი პეტრე რომ შეწუხებულიყო, მაშინ ანდერძი ებრძანა: „საქართველოს უჭირსო და რჯულის გულისათვის მიეხმარენითო, ჩემის ხაზინით ჯარი ათხოვეთო“. „მაგრამ, ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყოფოდენ იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოიშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მიხმარება რუსთა აღარ ინებეს“.



აი, რა გამოიტანეს ქართველებმა XVIII საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების გამოცდილებიდან, ეს ლეგენდა, თავისი მომხიბლავი გულუბრყვილობის მიუხედავად, არ ადასტურებს ქართველთა უნარს, გარკვეულიყვნენ XVIII საუკუნის საქმეებსა და პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ სპარსელებისა და ოსმალების მიმართ არცთუ იშვიათად გამოუჩენიათ თავი აღმოსავლური სკოლის ცბიერ, მზაკვარ პოლიტიკოსებად, თავიანთ დამოკიდებულებაში რუსეთის მიმართ მათ, ვიმეორებთ, შეჰქონდათ მთელი მიამიტობა, მთელი გულუბრყვილობა და უშუალობა შუა საუკუნეებისა, რომლის არტახებშიც სამუდამოდ დარჩნენ.

## თავი მეხუთე.

### ნადირ-შაჰი და საქართველოს აღზევება.

I.

ჩვენ ვნახეთ, რომ 1724 წლის 12 ივნისის ტრაქტატით რუსეთი განუდგა საქართველოს და ცნო პორტას ბატონობა ამ ქვეყანაზე.

მაგრამ ამ ბატონობას გრძელი დღე არ ეწერა; ირანი, რომლის მიწა-წყალსაც ოსმალეთი და რუსეთი ერთმანეთში ინაწილებდნენ, ვითომც აქ არაფერიო, უეცრად გაიმართა წელში, გაგლიჯა ხუნდები, მას რომ დაადეს, და თავს ზარი დასცა იმათ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ მიიჩნევდა გვამად.

ავღანელთა ამბოხების ჩახშობა, ოსმალეთსა და რუსეთის მიერ წართმეული პროვინციების დაბრუნება, საარაკო გალაშქრება ინდოეთზე, დელის გაძარცვა, იქიდან იმდენი სიმდიდრისა და თვალ-მარგალიტის წამოღება, რომ მათ ღირებულებას ბევრნი ითვლინენ, ვერ კი დათვალეს, სპარსეთის აღზევება — თუმცა ხანმოკლე — ძლიერების არნახულ საფეხურზე, — აი, რა მოჰყვა სპარსეთის ისტორიის იმ შემობრუნების პუნქტს, რომელიც ირანის შაჰის ნადირის სახელს უკავშირდება. იგი ტახტს დაეპატრონა 1735 წელს (შეგახსენებთ, მუღანის ველზე შაჰად ნადირის ფორმალური გამოცხადება მოხდა თახმასპისა და მისი მცირეწლოვანი ვაჟის აბას III-ის სიკვდილის შემდეგ — 1732 წლის ტრაქტატი დაიდო — ჯერ კიდევ თახმასპის სახელით, ხოლო განჯის ტრაქტატი — აბას III-ის სახელით, რაც აღნიშნულია შაჰის რატიფიკაციებში).

მაგრამ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავისი კანონიერი ხელმწიფის მსახური იყო და თახმასპ-ყულიხანად იწოდებოდა, უკვე სპარსეთის საქმეთა მთავარ გამგებლად გვევლინება.

1732 წელს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ სპარსეთთან ზავი ოსმალებსაც ეწადათ, და რუსებსაც. ამ წელს დაიდო ორი საზავო ხელშეკრულება; და ორივე მათგანი საქართველოს ეხება. პორტასთან დადებული ჰამადანის შეთანხმებით სპარსეთი ჯერჯერობით ამ უკანასკნელს ულიარებს საქართველოს ფლობას. 1732 წლის 5 იანვარს თავრიზი შაჰს დარჩა, საქართველო — ოსმალეთს. Бутковь, Материалы ტ.III, გვ.45. სპარსეთის ისტორიის საუკეთესო თხზულების, ალბათ, დღესაც წარმოადგენს **მალკოლმის** შრომა, რომლის წიგნს (History of Persia) ჩვენ ნიადაგ ვითვალისწინებთ.

რეშთის იმავე წლის 21 იანვრის ტრაქტატის საფუძველზე კი, რუსეთი უკან უბრუნებს სპარსეთს ყველა პროვინციას მტკვრიდან ასტრაბადამდე, ხოლო შაჰი, შორის სხვათა და სხვათა, კისრულობს ვალდებულებას, სპარსეთის ძალაუფლების ქვეშ საქართველოს დაბრუნების შემთხვევაში, დაუბრუნოს ტახტი ვახტანგს (П. С. З. № 5935, მუხ.2, და 8. მაგრამ რუსეთი არასდროს არ თვლიდა საქართველოს სპარსეთის ნაწილად. ნიშანდობლივია აღწერილობითი გამოთქმა, რომელიც აქ გამოხატავს საქართველოს კავშირს ირანთან: „... მისი დიდებულება შაჰი აღგითქვამთ, რომ როდესაც საქართველოს კვლავინდებურად სპარსეთთან ერთად იქნება შაჰის ს-ოს პროტექციაში, ძველი ჩვეულებისამებრ, საქართველოში გამგებლობა და მმართველობა იქნება და განისაზღვრება“. მაგრამ ვახტანგი საქართველოში აღარ დაბრუნებულა).

ოსმალეთთან ზავი (რომელიც შაჰ-თამაზმა დადო ნადირის ნების საწინააღმდეგოდ) დიდხანს არ გაგრძელებულა — იგი ფლობდა კიდევ სპარსეთის ცალკეულ მიწებს. 1733 წელს კვლავ გახურებული ომია. ბაღდადთან გამარჯვება სპარსელებს აძლევს შესაძლებლობას, დაიძრან ჩრდილოეთისაკენ და გამოყარონ ოსმალები ადერბაიჯანიდან. 1734 წელს ოსმალები გაეცალნენ საქართველოს და იგი ნადირ-შაჰის ხელშია.

იმავდროულად დიპლომატიური გზით მოგვარდა ბაქოსა და დერბენტის საკითხი; რუსეთმა არ დაიწყო დამაბრკოლებელ გარემოებათა მომიზეზება და უკან დააბრუნა ისინი (საბოლოოდ განჯის ტრაქტატით სპარსეთთან, 1735 წლის 10 მარტი). რა თქმა უნდა, ასეთი დამყოლობა მოწმობს მხოლოდ სიფრთხილის რუსეთის მთავრობისას, რომელმაც განსაჯა, სპარსეთის პროვინციები არ გვიღირს იმად, რომ მათი გულისთვის ნადირს ვეომოთო.

საქართველოს მიმართ მძვინვარე, ხარბი ნადირის დამოკიდებულება იტევს ყველა ელფერს, მწყალობლობის უაღრესად ამაღლებული გამოვლინებით დაწყებული, და წრესგადასული დესპოტიზმითა და სისასტიკით დამთავრებული. საერთოდ, ქართველებთან დაკავშირებით ნადირის იჭვიანი დამოკიდებულება სავსებით გასაგებია: იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ქართლი და კახეთი მის ინტერესებს დაიცავენ, და არა ოსმალეთის თუ რუსეთისა.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-210.**

აქტუალური თემა

*საქართველოს პარლამენტში მომზადდა და განიხილება კანონპროექტი „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „კერძო დაცვითი საქმიანობა სათანადო დონეზეა მოწესრიგებული მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. საქართველოში კი, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საერთოდ არ არსებობს. შესაბამისად, კერძო დაცვითმა ორგანიზაციებმა ზუსტად არ იციან, რა არის მათი უფლებები და რა ვალდებულებები ეკისრებათ კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. აღნიშნულ საქმიანობას დღეს ეწევა უამრავი ფიზიკური და იურიდიული პირი, მათი საქმიანობა კი საერთოდ არ არის კონტროლირებადი სახელმწიფოს მიერ“ და ა. შ.*

*ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციებისა და რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კანონპროექტი პრობლემის დარეგულირებას კი არ ემსახურება, არამედ მხოლოდ რამდენიმე დაინტერესებული და გავლენიანი პიროვნებებისა და ორგანიზაციის წისქვილზე მიუშვებს წყალს.*

*ობიექტური და მიუკერძოებელი აზრის გასაგებად ვესაუბრეთ ცნობილ ექსპერტს, საქართველოს ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარეს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს **ანზორ ბაბუხადიას** და საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ცნობილ მეწარმეს და მეცნიერს **ანზორ საკანდელიძეს**. მათთან საუბარი კარგა ხანს გაგვიგრძელდა, მაგრამ ამჟამად გთავაზობთ ჩემი რესპონდენტების თვალთახედვის მთავარ დედააზრს.*

# საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს?



## პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ დავით ბაქრაძის გასაგონად

**ა. ბაბუხადია** – ვიდრე უშუალოდ განსახილველ საკითხს შევეხები, ძალიან მოკლედ მოგიყვებით ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ. რამდენიმე ხნის წინათ აღმასრულებელი ხელისუფლების სამმა უწყებამ (ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა) გამოსცა ერთობლივი ბრძანება ალკოჰოლური სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის მოწესრიგების თაობაზე. ამ რამდენიმეპუნქტიანი ბრძანების ვერც სათაურიდან და ყოველი პუნქტიდან ვერაფერი რომ ვერ გავიგე, ამის თაობაზე თქვენს გაზეთში ორი ვრცელი სტატია გამოვაქვეყნე. რამდენიმეთვიანი დავიდარაბის შედეგად ამ ე. წ. ბრძანების გაუქმებას მივაღწიე. აღმასრულებელ ხელისუფლებას სხვა გაუაზრებელი გადაწყვეტილებებიც არაერთხელ გამოუცია, მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლებას, ანუ საქართველოს პარლამენტს ასეთი უსუსური დოკუმენტი რომ მოემზადებინოს, მე პირადად სხვა შემთხვევა არ მახსოვს. კერძოდ, ჩვენს მიერ განსახილველად კანონპროექტის მიღების შემთხვევაში: მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა დაცვის სამსახურების შენახვის საფასური, რადგან ამ საქმიანობის წარმოების ლიცენზიის მიღების გადასახადი 50.000 ლარი გახდება, საბანკო გარანტიის მისაღებად საჭირო ხდება 600.000 ლარის ღირებულების ქონების უზრუნველყოფა და სხვ. აღნიშნული კაბალური პირობები, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის დაცვითი საქმიანობის ბაზარზე ლიცენზიების და ნებართვების მიღებაში თანაბარი და კონკრეტული გარემოს შექმნას. ამას შედეგად მოჰყვება **დაცვითი სამსახურების მცირე ფირმების გაუქმება და ბაზარზე მონოპოლისტთა დამკვიდრება, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოვლად დაუშვებელია.**

მიუღებელია აგრეთვე შემოთავაზებული ადმინისტრაციული ბერკეტები. კერძოდ, დაცვის სამსახურს სათანადო ლიცენზიის არსებობის პირობებში მოეთხოვება დაცვითი საქმიანობის დამატებითი ნებართვა, რომელსაც, რამდენადაც კურიოზულად არ უნდა მოგეჩვენოთ, გასცემს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რომელიც თავად აწარმოებს ამგვარ საქმიანობას და წარმოადგენს კონკურენტ ორგანიზაციას ამ საქმიანობით დაკავებული კერძო ფირმებისთვის. მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს შემოთავაზებული სანებართვო სისტემა და შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომლის დროსაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არანაირი ადმინისტრაციული შეხება არ ექნება კერძო დაცვის საქმიანობით განმახორციელებელ სტრუქტურებთან.

**ა. საკანდელიძე** – კანონპროექტის მე-6 მუხლის თანახმად, ლიცენზირების ორგანო უფლებამოსილია ლიცენზიების გაცემის პროცედურის ვადა გაზარდოს სამ თვემდე, რაც ეწინააღმდეგება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც ლიცენზიის გაცემისას ადმინისტრაციული წარმოების ვადის 3 თვემდე გაზრდის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.

კანონპროექტის მიხედვით (მუხლი 7, პუნქტი 1) სალიცენზიო პირობების შემოწმების უფლება ლიცენზიის გამცემი ორგანოს გარდა ეძლევა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსაც. მათი ჩამონათვალი კანონით თუ არ დამტკიცდა, მაშინ, მაპატიეთ და, ამ პუნქტსაც ცუდი სუნი აუვა.

**ა. ბაბუხადია** – ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის დაცვის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება ძალზე გაიოლებულია, ანუ ვისაც როდის მოენდომება, მაშინ გააუქმებს ლიცენზიას. და ასეთ პირობებში ახალი ლიცენზიის მიღების უფლება მათ მიეცემათ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ. ამ პუნქტთან დაკავშირებით რაიმე კომენტარის გაკეთებაც კი შეუძლებელია.

კურიოზულად გვეჩვენება აგრეთვე კანონპროექტის ის მოთხოვნა, რომ დაცვითი საქმიანობა ეკრძალებათ ქრონიკული სნეულებით დაავადებულ პირებს. ქვეყანაში შექმნილი ტოტალური უმუშევრობის პირობებში, თუნდაც ქრონიკული კოლიტით, გასტრიტით ან ქოლეცისტიტით დაავადებული პიროვნებებიც დავტოვოთ თამაშგარე მდგომარეობაში?

კანონპროექტში არის მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია დაცვის სამსახურისთვის ლიცენზიის შეჩერებისა და გაუქმების საფუძვლები. კერძოდ, ნათქვამია, რომ ლიცენზიის 6 თვემდე ვადით შეჩერება შესაძლებელია დამკვეთის საჩივრის საფუძველზე, ანუ თუ, მაგალითად დაცვის ფირმა იცავს 100 ობიექტს და რაღაც მიზეზის გამო საჩივარი დაიწერა ერთ ობიექტზე, ფირმას ლიცენზია უჩერდება 6 თვემდე ვადით და ამ ხნის განმავლობაში მას უფლება არ ექნება დაიცვას დანარჩენი 99 ობიექტი. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ამ დაცვის ფირმას არავინ დაელოდება და რაც მოხდება, ნათელია.

**ა. საკანდელიძე** – კანონპროექტში აუცილებელია აისახოს გენერალური ლიცენზიის განმარტება, რაც გამორიცხავს ცალ-ცალკე ყველა ობიექტზე ნებართვების საჭიროებას. ამ პოზიციას მეტი განმარტება და მტკიცება არ ჭირდება, რადგან ყველამ კარგად იცის რასთან არის დაკავშირებული ეს პროცედურა. გარდა ამისა, კანონპროექტის მე-7 მუხლის მიხედვით ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია, ადგილზე შეამოწმოს ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზიის მფლობელის სალიცენზიო პირობები. „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ლიცენზიის მაძიებლის წინასწარ შემოწმებას ადგილზე. ამავე კანონით დადგენილია, რომ ნებართვა შეიძლება იყოს ვადიანი და უვადო და გაგრძელდეს ავტომატურად. ასეთ პირობებში განსახილველი კანონპროექტით ნებართვის მოქმედების ვადა განსაზღვრულია ერთი წლით! შეშფოთებას იწვევს კანონპროექტის მოთხოვნები დასაცავ ობიექტებში სიგნალიზაციის დაყენებასთან დაკავშირებით, რაც ძალზე აიოლებს დაინტერესებულ ობიექტებში პირადი საუბრების ჩაწერისა და მოსმენის შესაძლებლობებს!!!

**ასეთი სერიოზული შენიშვნების ფონზე ეჭვი აღარ მეპარება, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი მომზადებულია გავლენიანი პიროვნებების ზეწოლით, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2009 წელს შემცირებული ბიუჯეტის შესავსებად გაუჩინონ დამატებითი ბერკეტები და უკანონო შემოსავლის წყაროები.**

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი.**

***რედაქციისაგან:** პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მზად ვართ, შეუზღუდავად გავაგრძელოთ მსჯელობა ამ თემაზე, რათა საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონიერი, ხალხისთვის მისაღები კანონი.*

ინფორმაცია

## მედვედევი სასაკლაოზე გაგზავნილ ჯარისკაცებზე ზრუნავს

**რუსეთის** პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებსა და კანონებში ცვლილებებს შეტანის შესახებ. ცვლილებებია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისთვის სამედიცინო-ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის შესახებ. ინფორმაცია ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ეს კანონი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებს ეხება, რომლებსაც სამხედრო სწავლებებისა და მათი ჯანმრთელობისათვის საზიანო დავალებების შესრულების შემდეგ სამედიცინო-ფსიქოლოგიური დახმარების უფლება და პროფილაქტიკური დასვენების საშუალება ეძლევათ.

ამასთან ერთად, მათ უნარჩუნდებათ უფლება ყოველწლიური ერთჯერადი დასვენებისა.



## „ვოსტოკ“ – „ზაპადის“ რეორგანიზაცია კადიროვის ინიციატივაა

**რუსეთის** მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ბატალიონი „ვოსტოკი“, რომელიც აგვისტოს მოვლენებში აქტიურად იყო ჩართული, მოტომსროლელთა ასეულად გადაკეთდება, მისი მეთაური სულიმ იამადაევი, კი თანამდებობიდან გადაყენებულია.

იამადაევი რუსეთის თავადაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ტაგანროგის ბრიგადის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა.

გაზეთ „კომერსანტის“ ინფორმაციით, სისასტიკით განთქმული ბატალიონების — „ზაპადისა“ და „ვოსტოკის“ რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია 8 ნოემბერს გავრცელდა.

ქვედანაყოფები, რომლებიც ჩეჩნეთში ყველაზე ბრძოლისუნარიანად მიიჩნეოდნენ, მოტომსროლელთა ასეულად გადაკეთდება და 42-ე მოტომსროლელი დივიზიის ნაწილი გახდება. მოსალოდნელია ბატალიონის პირადი შემადგენლობის შემცირებაც, რომელიც დღეისთვის ათასებით განისაზღვრება.

„კომერსანტის“ ცნობით, „ზაპადისა“ და განსაკუთრებით „ვოსტოკის“ ლიკვიდაციას დიდი ხანია, ითხოვს ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი.

გამოცემა ამის მიზეზად ასახელებს ჩეჩნეთის პრეზიდენტის სურვილს, შეამციროს ჩეჩნეთში იმ ძალოვანთა ოდენობა, ვინც პირადად მას არ ექვემდებარება.

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭЙЧ-ЭНИ

ინფორმაცია

## შეჯამდა შუალედური არჩევნების შედეგები

**ცენტრალურმა** საარჩევნო კომისიამ თბილისის ორ საარჩევნო ოლქში გამართული შუალედური არჩევნების შედეგები შეაჯამა.

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ვაკეში „ქრისტიან-დემოკრატების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა თამაზ კვაჭანტირაძემ ამომრჩეველთა ხმების 42,72% მიიღო, ლევან ასათიანმა (პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“) — 34,34%, ხოლო კახა ქორიძემ, რომელიც „ქართულ დასს“ წარმოადგენდა, 22, 91%.

დიდუბის საარჩევნო ოლქში "ეროვნულ-დემოკრტიული პარტიის" კანდიდატმა გურამ ჩახვაძემ გაიმარჯვა — 65, 33%, „ქართული დასის“ წარმომადგენელმა ნათია მიქიაშვილმა 18,06% მიიღო, ხოლო კიდევ ერთმა კანდიდატმა ჯემალ ნათელაშვილმა — 9,77.

ცესკოს შემაჯამებელი ოქმის თანახმად, პარლამენტში ორი მაჟორიტარული ოლქიდან არსებულ ვაკანსიებს თამაზ კვაჭანტირაძე და გურამ ჩახვაძე შეავსებენ.

ინტერპრესნიუსი

კონფლიქტის ზონა

# ედუარდ კოკოითი პერევში „ბერლინის კედლის“ აშენებას გეგმავს



**ედუარდ კოკოითი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას გეოგრაფიის ცოდნის დონეს „უწუნებს“ და აცხადებს, რომ ოსური შეიარაღებული დაჯგუფება საჩხერის რაიონის სოფელ პერევის ერთ ნაწილში იმყოფება, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „საზღვრებშია“, და ადასტურებს, რომ სეპარატისტული რეჟიმი სოფლის შუაზე გაყოფას და აქ ე. წ. „სახელმწიფო საზღვრის“ მოწყობას გეგმავს.**

„ჩვენი ჯარები საქართველოს საზღვარზე არასდროს არ გადასულან და იმ დასახლებულ პუნქტებში იმყოფებიან, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ გეოგრაფია ძალიან ცუდად იცის და მან საკუთარი ქვეყნის საზღვრებიც კი არ იცის“, — განაცხადა ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მეთაურმა ედუარდ კოკოითიმ.

მისი თქმით „სამხრეთ ოსეთის დანაყოფები შევიდნენ სოფელ პერევის იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და იქ სახელმწიფო საზღვრის მოწყობას შეუდგებიან. ასევე ლენინგორის რაიონში, რომელიც სამხრეთ ოსეთის ნაწილია, სახელმწიფო საზღვრის მოწყობა მოხდება. სხვისი ტერიტორიები ჩვენ არ გვჭირდება“, — აღნიშნა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

„ევროპელი დამკვირვებლები კი არ აღკვეთავენ პროვოკაციებს, არამედ საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციებსა და ცრუ განცხადებებს, თითქოს სამხრეთ ოსეთი საქართველოს სახელმწიფო საზღვარს არღვევს, მხარს უჭერენ“, — დასძინა სეპარატისტთა ლიდერმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საღამოს საჩხერის რაიონის სოფელ პერევში, სადაც რუს ოკუპანტებს უკანონო ბლოკ-საგუშაგო ამ დრომდე არ დაუშლიათ, ვითარება უკიდურესად დაძაბულია. როგორც საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას განაცხადა, პერევთან მდებარე რუსეთის საოკუპაციო ჯარების უკანონო ბლოკ-საგუშაგოზე გუშინ 50-კაციანი, გაურკვეველი წარმოშობის შეიარაღებული დაჯგუფების წევრები შევიდნენ.

— ისინი ქართული მოსახლეობის მიმართ მეტად აგრესიულად არიან განწყობილნი და ამიტომ, მოსახლეობის უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, — აცხადებს ზურაბ ცერცვაძე.

საჩხერის გამგებელი აღნიშნავს, რომ პერევში შექმნილ უკიდურესად დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით საქმის კურსშია საქართველოში მოქმედი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც.

მისიის წარმომადგენლებმა სპეციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც საუბარია, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია პერევში შექმნილი სიტუაციით შეშფოთებულია.

მისიის წარმომადგენელთა განცხადებით, რუსული მხარე გამუდმებით უარს ამბობს პერევში მდებარე ბლოკ-საგუშაგოს დემონტაჟზე, იმ მოტივით, რომ ის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს.

„მეტიც, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქ განთავსებული რუსი სამხედროების დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული ძალებით ჩანაცვლება იგეგმება, რაც ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს კიდევ უფრო გაამწვავებს და მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხოებას, რომლებიც პერევსა და მის შემოგარენში ცხოვრობენ, საფრთხეს შეუქმნის“, — ნათქვამია განცხადებაში.

ინფორმაცია

## ამნისტია არასრულწლოვანებსაც უნდა შეეხოს



**შესაწყალებელ** არასრულწლოვანთა სია ცალკე შედგება.

ამის შესახებ პარლამენტარმა ჯონდო ბაღათურიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და პრეზიდენტთან 8 ნოემბერს გამართულ ანტიკრიზისული საბჭოს შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა.

დეპუტატის განმარტებით, არიან მოზარდები, რომლებიც ყაჩაღობის მუხლით არიან გასამართლებულები, თუმცა მათი დანაშაული მაინცდამაინც მძიმე არ არის.

ზოგმა მათგანმა კურსელს მობილური გამოართვა და ლომბარდში ჩააბარა. მართალია, ეს დანაშაულია, მაგრამ უფრო დიდი დანაშაულია, ასეთი მოზარდს 10 წელი მიუსაჯო, — მიაჩნია ოპოზიციონერ დეპუტატს.

მისივე თქმით, ასეთ არასრულწლოვნებს ამნისტია ვერ შეეხებათ, ამიტომ ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე გამოვიდა ინიციატივით, რომ ასეთი პატიმრების სია ცალკე შედგეს და მათი შეწყალებაც ცალკე მოხდეს.

23 ნოემბრის ამნისტიას ბაღათურია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად აფასებს და ხელისუფლების უდიდეს წვლილზე საუბრობს. მისი თქმით, მართალია, ოპოზიციის ინიციტივით, მაგრამ გადაწყვეტილება ამნისტიის შესახებ სწორედ ხელისუფლებამ მიიღო.

## „იმედს“ ყურადღებას მიაქცევენ



**დეპუტატი** ჯონდო ბაღათურია ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით დაწყებული სამართლებრივი დავისადმი სახელმწიფოს მაქსიმალური ყურადღების გამოჩენას სთხოვს.

როგორც ბაღათურიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს საკითხი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, ანტიკრიზისული საბჭოს ფარგლებში გამართულ შეხვედრაზეც დააყენა და მიიღო დაპირება, რომ „იმედის“ საქმეს სახელმწიფო ყურადღებას მიაქცევს.

მისივე თქმით, თავად მხარს უჭერს „იმედის“ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივისთვის, ინა გუდავაძისთვის დაბრუნებას.

## გამგებელი „მათხოვრებმა“ შეაწუხა?

**„კახეთის** საინფორმაციო ცენტრი“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს გია გოზალიშვილს სოციალურად დაუცველი ადამიანების სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. ცენტრის ინფორმაციით, გოზალიშვილმა მათ „მათხოვრები“ უწოდა.

რაიონის გამგებელი, გამგეობის შენობაში გამოკრული განცხადების თანახმად, მოქალაქეებს ოთხშაბათს და პარასკევს უნდა იღებდეს, თუმცა მოსახლეობა გია გოზალიშვილთან შეხვედრას ვერ ახერხებს. ზედიზედ რამდენიმე კვირაა, რაც გამგებელთან შეხვედრის მიზნით გამგეობას ვაკითხავთ, მაგრამ მოქალაქეთა მიღების დღეებში გოზალიშვილს ვერ შევხვდით. ამიტომ რამდენჯერმე ტელეფონზეც დავუკავშირდით, მოვუბოდიშეთ და გვინდოდა გვეთხოვა, რომ თავისუფალ დროს შეგვხვედროდა, მაგრამ სიტყვა არ დაგვამთავრებინა, დაკავებული ვარო, აღნიშნა და ტელეფონი გაგვითიშა. მცირეწლოვანი ბავშვი გვყავს ავად. ოპერაციას საჭიროებს. სოციალურად ძალიან გვიჭირს, მაგრამ დახმარებას ვერ ვიღებთ. არც სამედიცინო პოლისი გვაქვს. გამგებელს იქნებ შეეძლო და ოპერაციის თანხის ნაწილის გადარიცხვით მაინც დაგვხმარებოდა. რამდენიმე დღის წინათ გამგეობის შესასვლელში დავუხვდით და შევეცადეთ მისთვის ჩვენი გაჭირვება აგვეხსნა. არ მოგვისმინა, ამდენი მათხოვრით დავიღალეო, იყვირა და გაგვშორდა, — განაცხადა სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენელმა.

თავად გამგებელი სოციალურად გაჭირვებული ადამიანების შეურაცხყოფის ფაქტს უარყოფს. მისი თქმით, მოქალაქეებს გამგებელთან შეხვედრის პრობლემა არა აქვთ.




## პოლიციელი ნარკოტიკებისთვის დააკავეს

**გენერალური** ინსპექციის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე სასაზღვრო პოლიციის ბათუმის აეროპორტის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილების უფროსი ბეჟან დავითაძე დააკავეს.

როგორც შსს-ს პრესსამსახური იუწყება, დავითაძის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 14 ცალი აბის ნატეხი.

## ენერგოსისტემა – ავტონომიურ რეჟიმში

**ელექტროენერგეტიკული** სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) 9 ნოემბრის მონაცემებით, არ ხორციელდებოდა მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გაცვლა.



საკუთარ მოხმარებას ქვეყანა საკუთარი ენერგორესურსებით ფარავს. თბოელექტროსადგურებიდან მუშაობს მხოლოდ მე-9 ენერგობლოკი („მტკვარი-ენერგეტიკას“ პირველი ენერგობლოკი), რომლის დღიური გამომუშავება 5,992 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს.

ენერგოსისტემის დღიური მოხმარება 20,794 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს.

## ზემო აფხაზეთს აფხაზები და რუსები აკონტროლებენ

**ზემო აფხაზეთში** ამ დროისთვის 100 რუსი სამხედრო და 40-მდე შეიარაღებული აფხაზი რჩება. ამის შესახებ ზემო აფხაზეთიდან ინფორმირებული წყარო იტყობინება.

რუსი სამხედროები გენწვისში, საქართველოს შსს-ს ყოფილ ბაზაზე არიან დაბანაკებულნი, პოსტი კი საკენში აქვთ. აფხაზები კი ომარიშარაში, მესაზღვრეების ბაზაზე არიან. ზამთარში ზემო აფხაზეთში, სავარაუდოდ, მხოლოდ 30 რუსი ჯარისკაცი დარჩება. ამდენად, ზემო აფხაზეთი ამ დროისთვის მთლიანად ბლოკირებულია, — განაცხადა წყარომ.

მისივე თქმით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში აგვისტოს მოვლენების შემდეგ მხოლოდ 20-მდე ოჯახი დაბრუნდა, უმთავრესად — გენწვისსა და ჩხალთაში.

დაბრუნებული მოსახლეობის მიმართ აფხაზები და რუსები განსაკუთრებულ აგრესიას არ იჩენენ, რადგან, როგორც ჩანს, დაბრუნებულებს, მათი სიმცირის გამო, საფრთხედ არ აღიქვამენ. სოფლებში სახლების უმეტესობა გაძარცვულია, თუმცა, არა გადამწვარი, — განაცხადა წყარომ.

## აფხაზები ჟენევაში ქართველებს უნდა გაუთანასწოროთ?

**აფხაზეთის** სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელთა განცხადებით, სოხუმი ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციებში მონაწილეობას მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მიიღებს. ეს პოზიცია აფხაზ სეპარატისტთა ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გუშინ კიდევ ერთხელ გაახმიანა.

გუშინვე, სეპარატისტულ აფხაზეთს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი კრიზისულ საკითხებში პიერ მორელი და ეუთოს წარმომადგენელი ჯან ტალასი ეწვივნენ.

მათი ვიზიტის მიზანი, ჟენევის კონსულტაციებთან დაკავშირებით აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვაა. ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე რაუნდი 18-19 ნოემბერს უნდა გაიმართოს.

## დიდუბის პანთეონი კეთილმოეწყობა

**დიდუბის** საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პანთეონის შემომსაზღვრელი კედლის მშენებლობაც უახლოეს დღეებში დასრულდება.

მერიის წარმომადგენელთა განცხადებით, პანთეონი არაერთხელ გაიძარცვა, მოიხსნა ბრინჯაოს ჰორელიეფური გამოსახულებები და წარწერები. კედლის მშენებლობა სწორედ ასეთი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა.

ტერიტორია სამი მხრიდან იყო გახსნილი და დაუცველი. ხშირი იყო მავნებლობის შემთხვევები, განსაკუთრებით ღამის საათებში. აქ დაკრძალულნი არიან გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები. მათი ოჯახებისა და დირექციის მოთხოვნის შესაბამისად გადავწყვიტეთ დაცვის მიზნით ტერიტორია კედლით შემოგველობა, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ნიკო ხაჩირაშვილმა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

◉ წარსული და დღევანდელობა

# არ გვემეტება!

**ძალაძ გორის ცენტრალური მოედნიდან ი. სტალინის ძეგლის მისივე სახლ-მუზეუმთან გადატანისა და ამ უკანასკნელის რუსული ოკუპაციის მუზეუმად გადაკეთების შესახებ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლის განცხადებას პრესაში ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა.**

**მოქალაქეთა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით (28 ოქტომბერი, 2008 წ.) ხელისუფლებას მოუწოდა, ხელი აიღოს ამ განზრახვაზე. წინაალმდეგ შემთხვევაში, როგორც ისინი აცხადებენ, პასუხისმგებლობას იხსნიან შესაძლო შედეგებისათვის. ამ თემაზე სხვა გამოხმაურებაც იყო.**

მას შემდეგ, რაც უფალმა ცნობიერება მომცა, მშობლებისა და ბელადის სახელები ერთდროულად ვისწავლე, შემდეგ გავეცანი მის ნაშრომებსაც და ა.შ., ხოლო ბელადის გარდაცვალება-დასაფლავების დღეებში, 1953 წლის 5-9 მარტში, ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ათასობით სხვა სტუდენტთან ერთად თბილისში, ლ. ბერიას სახელობის მოედანზე (დღეს – თავისუფლების მოედანი) აღმართულ ბელადის სახის უზარმაზარ, წითელ ტილოგადაკრულ პროფილს გაოგნებული შევყურებდი და მეგონა, რომ ქვეყნიერების დასასრული დადგა.

ქვეყნიერების დასასრულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მის შემდეგ ი. სტალინის მიმართ ლანძღვის უსაშველო ნიაღვარს, სსრ კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დეგრადირებას, მის სამარცხვინო დაშლას და ამ გზით საქართველოსათვის ნაჩუქარ თავისუფლებასაც მოვესწარი, რომელიც ვერ იქნა და დღემდე ვერავინ ვერ გაითავისა.

ჩემო მკითხველო, ჩვენს ირგვლივ არათუ ბევრი რამ, არამედ **ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი! შეიცვალა კარდინალურად, წარსულის საპირისპიროდ** და, აკადემიკოს შ. ნუცუბიძის ერთი მახვილი გამოთქმის პერიფრაზირება რომ გავაკეთოთ, **ჩვენ, ვინც საქართველოს თავისუფლების პლატფორმაზე „ბაგაჟით" (ანუ წლებით და ჩვენი ცოდნით) გადმოვედით, საკმაოდ დავიგვიანეთ და ჯერ „ბარგი" ვერ დაგვილაგებია, ახალგაზრდობა კი, რომელსაც ეს „ტვირთი" არ აწუხებდა, უცბად გადმოხტა.**

**რომ დავუფიქრდეთ, სწორედ ეს „ბარგი" (წლები და ცოდნა) გვიშლის ხელს, მრავალი რამ ახლებურად გავიაზროთ და ამ სიახლეთა უზარმაზარ ნაკადში ადეკვატურად გავერკვეთ.**

აგვისტოს დღეებში ერთ ტელეგადაცემაში ვნახე: გორის ცენტრალურ მოედანზე რუსი ჯარისკაცი გაოცებით შეჰყურებდა თუჯის დევკაცის უზარმაზარ ფიგურას, რომლის ხელყოფა ამ დაპყრობილ ქვეყანაში ალბათ მეთაურმა აუკრძალა (ის კი ალბათ გაფრთხილებული იყო).

**ჩემი წლების გამო ალბათ ვერავინ დამაყვედრის ი. სტალინის სახელისადმი უპატივცემლობას, მაგრამ მაინც შევეცდები „ბელადის" ფენომენს სხვადასხვა მხრიდან შევხედო, ანუ შევხედო „სხვისი" თვალით და გავერკვე, რა არ მოსწონს „დემოკრატიულ" დასავლეთსა და ჩვენს ახალგაზრდობას ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პიროვნებაში, რატომ მიაჩნია მისი ძეგლი და სახლ-მუზეუმი ისტორიულ ანაქრონიზმად.**

*   *   *

თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასის მოსწავლე სოსო ჯუღაშვილი სამწერლო ასპარეზზე 1895 წელს გამოვიდა: მისი ლექსები დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის „ივერიაში" გამოაქვეყნა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სულმნათი ილია ასე ადვილად არ ულებდა მწერლებს „ივერიის" კარებს. გამონაკლისი, რომელიც დაუშვა ილიამ, ეს იყო ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი.

როგორც ჩანს, 15-16 წლის ახალგაზრდა ს. ჯუღაშვილს მასზე შთაბეჭდილება მოუხდენია.

ილიასა და ახალგაზრდა სტალინის პირველი შეხვედრის შესახებ დაცულია ასეთი ცნობა:

**„სოსომ... მოკრძალებით შეაღო ილიას კაბინეტის კარი და თავმდაბალი სალამი მისცა დიდ მწერალს. როცა ილია შეეკითხა, ახალგაზრდავ, რა გინდაო, სოსომ მოკრძალებით გაუწოდა თავისი დაწერილი ლექსი.**

**„სოსო გულისძგერით მოელოდა ილიას მსჯავრს. გაათავა ილიამ ლექსის წაკითხვა. ცოტა შეისვენა, რამდენჯერმე შეხედა მის ავტორს, წამოდგა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა,–კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე, წერე და კარგი მწერალი იქნებიო.**

**„ჩქარა მისი ლექსი „ივერიაში" დაიბეჭდა. ილიამ 1895 წელს, ივნისიდან დეკემბრამდე, ვიდრე „ივერიას" მთავრობა დახურავდა, ს. ჯუღაშვილს ხუთი ლექსი დაუბეჭდა, მათ შორის ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი", რომელიც შემდეგ „დედა-ენაში" დაიბეჭდა სათაურით „დილა"** (იხ. პ. ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, თბილისი, „მერანი", 1983 წ. გვ. 353-355).

საინტერესოა, ამის თაობაზე დამატებით ინფორმაციას იძლევა აგრეთვე რუსული ინტერნეტ-საიტი **„Великие властители прошлоги"**, რომლის თანახმად, „ახალგაზრდა სტალინის ლექსებმა ყურადღება მიიქციეს. 1901 წელს ქართველმა საზოგადო მოღვაწემ **მ. კელენჯერიძემ**, რომელმაც სიტყვიერების თეორიის შესახებ სახელმძღვანელო შეადგინა, ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებთან ერთად კრებულში ლექსები მოათავსა **„სოსელოს"** ხელმოწერით.

„1907 წელს იმავე მ. კელენჯერიძემ შეადგინა და გამოსცა „ქართული ქრესტომათია, ანუ ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშების კრებული" (ტ. I), რომლის 43-ე გვერდზე მოთავსებულია იოსებ სტალინის ლექსი, მიძღვნილი რ. ერისთავისადმი. აქვე მოთავსებულია ი. სტალინის ახალგაზრდობისდროინდელი ლექსების (მთვარეს, რაფიელ ერისთავს, „დადიოდა სახლიდან სახლში", „როცა მთვარის ნათელი ქვეყანას მოეფინება", დილა („ვარდს გაეფურჩქნა კოკორი"), „დაბერდა ჩვენი ნინიკა") რუსული თარგმანი."

არა მგონია, იყოს ქართველი, დიდი თუ პატარა, **სოსელოს „დილა"** ზეპირად რომ არ იცოდეს! მოდით, გავიხსენოთ. აი ისიც: **„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადაჰხვეოდა იასა, ზამბახსაც გაჰღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა. ტოროლა მაღლა ღრუბლებში ტრიალ-ტრიალით გალობდა, ბულბულიც გახარებული ნაზის ხმით ამას ამბობდა: აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო და შენც ქართველო სწავლითა სამშობლო გაახარეო!"** დიდებული სტრიქონებია! მას თვით დიდი ილია და აკაკიც ხელს მოაწერდნენ.



... და აქვე, ამ **ლექსის რუსულ თარგმანსაც** გთავაზობთ (იმავე, ზემოთ მითითებული რუსული ინტერნეტ-საიტიდან): „**УТРО. Раскрылся розовый бутон, Прильнул к фиалке голубой, И легким ветром пробужден, Склонился ландыш над травой. Пел жаворонок в синеве, Взлетая выше облаков, И сладкозвучный соловей Пел детям песню из кустов: „Цвети, о Грузия моя! Пусть мир царит в родном краю! А вы учебою, друзья, Прославтье Родину свою!"**" (მთარგმნელი მითითებული არ არის).

გახსოვთ, რა უთხრა დიდმა ილიამ სოსო ჯუღაშვილს? **„ახალგაზრდავ, იმეცადინე, წერე და კარგი მწერალი იქნებიო."**

მაგრამ, ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ჯერ კიდევ აქტიური იყო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ გახმოვანებული ლოზუნგი: **„აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა!"** და იმ აჩრდილის რუსეთსა და კავკასიაში „ჩამოსაყვანად" ჭაბუკი ი. ჯუღაშვილი და მისი თანამებრძოლები რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ, ჩაებნენ კი არა, გადაეშვნენ! და სოსო – „სოსელო" მალე **კობა ჯუღაშვილი,** ხოლო შემდეგ **ამხანაგი სტალინი(!)** გახდა. მართალია, ის „აჩრდილი" ევროპაში მალევე გაჰქრა, მაგრამ რუსმა და ქართველმა რევოლუციონერებმა თავი გაიგიჟიანეს და იმ **აჩრდილს დედამიწის ერთი მეექვსედი შესწირეს!.**

ისე, გვახსოვს ყველას **ზვიად გამსახურდიას** ნათქვამიც: **ნეტავ, ლექსებს გაჰყოლოდაო! ნეტავ!..**

მსოფლიო რა სისხლისღვრას გადაურჩებოდა, რამდენ მილიონ ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას „გულაგი" და წამებით სიკვდილი ასცდებოდა, დედამიწის ერთ-მეექვსედზე ბატონყმური რუსეთიდან არ გაჩნდებოდა (თუნდაც 70 წლით!) **წითელი ურჩხული-იმპერია** და თუ გაჩნდებოდა, მჯერა, **უსტალინოდ** მალევე ბოლო მოეღებოდა და ვინ იცის, ჩემო მკითხველო, რუსეთიცა და საქართველოც დანარჩენი ევროპის ქვეყნების მხარდამხარ საყოველთაო-ისტორიული განვითარების გზით ივლიდნენ, რაც მთავარია, საქართველოს მიწა-წყალი ასე საზურთაო არ გახდებოდა!..

ვინ იცის!..

ყოველ შემთხვევაში, რა დღეშიც დღეს საქართველოა, მასზე უარესი ნამდვილად არ მოხდებოდა!

*   *   *

1937 წლის 9 დეკემბერს თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო-საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე მოხსენება ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ** გააკეთა. მოვიტან ნაწყვეტებს ამ მოხსენებიდან:

„ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები **ნ.ჟორდანია, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, გრ. რობაქიძე** და სხვ. ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ საქართველოს ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.

„საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.

„ფაშისტური ოხრანკების აგენტები, მოღალატეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები **გ. ელიავა, დ. წერეთელი, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, ა. წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი ს. ახმეტელი, მწერლები მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ნ. ქარცივაძე, სეით დევდარიანი, გ. მახარაძე** და სხვ.

„ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. თავიანთ შავბნელ-ტერორისტულ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამვლას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტეროლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც 50 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

„საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა **ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს (ხანგრძლივი ტაში)**. მთელი ქართველი ხალხი ზიზღით და კრულვით იხსენიებს მათ".

**ჩემო მკითხველო, ნუ დავივიწყებთ, რომ ამ რეპრესიებს ათეულ ათასობით საუკეთესო ქართველი შეეწირა!! ათობით ათასი განათლებული, მოაზროვნე და ჭკვიანი ფენა ქართველი ერისა!**

**ვინც ამ დასმენებს, დევნასა და ჯოჯოხეთს გადაურჩა, დარჩა მანძურთად ქცეული, დათრგუნული, სულიერად დახეიბრებული, დაშინებული და დათითოკაცებული!**

**აქ არაფერს ვამბობ 20-ანი წლებს მასობრივ დახვრეტებზე, როდესაც ქართული საზოგადოების ელიტა – ათასობით თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ინტელიგენცია გაანადგურეს!**

**ამხანაგი ლავრენტი ბერიას** მოხსენება კი, როგორც წესი, ასე დასრულდა:

„გაუმარჯოს მძლავრ და უძლეველ საბჭოთა ხალხს! (მქუხარე **ტაში, შეძახილები: „ვაშა", „გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!"), გაუმარჯოს დიდ სტალინს! (მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ ცხრება. მთელი დარბაზი აღტაცებით მიესალმება ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. გაისმის შეძახილები რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს ამხანაგ სტალინს!" „ვაშა გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემოქმედს!" „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას"! „გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!" „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ ბერიას!".**

**ამირან გაბისონია.**

(დასასრული იქნება)

◉ ინფორმაცია

## აშუბა მხოლოდ გაეროს ენდობა



**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა აცხადებს, რომ აფხაზეთი გაეროს მისიას გაცილებით ენდობა, ვიდრე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. მისივე თქმით, ამჟამად ევროპა დაინტერესებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდეს, მაგრამ ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკა გაეროს დამკვირვებელთა გარდა სხვა დამკვირვებლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შეუშვებს.**

**მისივე თქმით, აფხაზეთი დასაშვებად მიიჩნევს იმას, რომ გაეროს დამკვირვებლებმა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ევროკავშირის დამკვირვებლებს ინფორმაცია გაუცვალონ.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ



### ხედვა უცხოეთიდან

მელიკ კაილანმა „ქართული აგვისტოს“ შედეგები საკუთარი თვალით ნახა, ამისთვის საქართველოში მეხუთედ ჩამოვიდა და სტატიების სერიით მსოფლიოს იმ ავბედითი დღეების სიმწარე ამცნო. ერთი თვის წინათ The Wall Street Journal-ში იგი სოფელ ნიქოზში დანგრეული მართლმადიდებლური ტაძრის სევდიან ისტორიაზე წერდა. „დამპყრობებმა გაქურდეს და დაანგრიეს ისტორიის მრავალი ძეგლი. მათ შორის იყო ისეთებიც, რომლებსაც ქართველები ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტებად აღიარებდნენ და დიდ **მოკავშირეების ქცევათა შორის. დიახ, დაშვებულია რიგი შეცდომებისა, მაგრამ აშშ ყოველნაირად ცდილობდა არ დაეზიანებინა კულტურის ძეგლები და თავისი მოკავშირეები არასოდეს არ წაუხალისებია მოწინააღმდეგის კულტურის ასაოხრებლად. ვიტყვით გასაგებად და არაორაზროვნად: აშშ სხვა ხალხების კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არ დაუშვებს ამგვარ დამანგრეველ მტრობას.**

აგვისტოს დიდი ნაწილი საქართველოში საომარი მოქმედებების დაკვირვებაში გავატარე. ადგილობრივი მეგობრების საშუალებით ოკუპირებული ტერიტორიის მის სიცოცხლეშივე შეიქმნა. ნიქოზი სსრკ-ის დანგრევის შემდეგ კვლავ მომლოცველთა ცენტრი გახდა. ნიქოზში კვლავ გაჩნდა ეპისკოპოსი, რომელმაც ყოველწლიურად აგვისტოს შუა რიცხვებში წმინდა რაჟდენის დღესასწაულობა კვლავ აღადგინა.

სოფელს განსაკუთრებით სასტიკი ავიადარტყმები ამა წლის 12 და 14 აგვისტოს დაატყდა თავს. ეპისკოპოსი ანდრია გვაზავა, რომელიც იმ დროს ლიტურგიას ატარებდა, მოგვიანებით მიყვებოდა, რომ იგი ადგილობრივი მაცხოვრებლებს ევაკუაციაში ეხმარებოდა და დაბომბვის მიუხედავად სო-



# „ვფიქრობ, სამომავლოდ საქართველო იქნება ისეთი, როგორიც სინგაპური და ფინეთია — პატარა, ქმედითი და პროდუქტიული“...

პატივს სცემდნენ. განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონს, რომელიც სამხრეთ ოსეთს გარს ერტყმის და იგი, გარკვეულწილად, ძველქართული კულტურის აკვანიც გახლავთ. საქართველოს კულტურის სამინისტრომ დაახლოებით 500 ძეგლისგან და არქეოლოგიური გათხრებისაგან შემდგარი სია წარმოადგინა. ეს ძეგლები რუსული ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდნენ და ამიტომაც მოისრნენ.

ამჟამად დანგრეულ შენობათა სია თავად მაჩაბლის მუზეუმის მნიშვნელოვან დაზიანების აღწერას მოიცავს. ეს ის ადგილია, სადაც ინახებოდა სამეფო გვარის ამ ცნობილი მემკვიდრის პირადი ნივთები. იგი რუსეთის წინააღმდეგ აღსდგა (წარმოშობით ამ რეგიონიდან იყო). სვირში წმინდა გიორგის ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს და იგი დაიწვა. ეს გახლდათ IX საუკუნეში აგებული ხის შენობა; XII საუკუნის იკორთის ეკლესია ჭურვებით დაზიანდა, სადაც ქართველებისთვის საპატივცემულო საფლავები იყო; ნიქოზში ძლიერ დაზიანდა XI საუკუნეში დაარსებული სამონასტრო კომპლექსი და იგი, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა ამ ძეგლთაგან. სია უკიდურესად შერჩევითია, მაგრამ იგი სრულად გვაძლევს იმის სურათს, თუ რატომ აქვს ყველა ძეგლს აღნიშნულ რეგიონში ასეთი მნიშვნელობა. გაუკუღმართებული ლოგიკის თანახმად, რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სამხედრო ფორმირებებს მაროდიორობის უფლება ჰქონდათ, როცა ისინი ავტომატებით ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი სახლებიდან დევნიდნენ, ხოლო თვითმხილველთა მონაყოლით, შენობებს ქურდავდნენ. თანამგზავრულმა გადაღებებმა უჩვენა, ბულდოზერების საშუალებით კონკრეტულად რომელ ადგილებზე გაასწორეს ისინი მიწასთან.

**აქვე, ჩანასახშივე, უნდა მოისპოს ყველა არგუმენტი მორალური შესაბამისობისა საქართველოში რუსეთისა და ერაყსა თუ კოსოვოში** სოფლის გზები და გორაკები ფეხითა და მანქანით შემოვიარე. ეს საკმაოდ საშიში წამოწყებაა ადამიანისთვის, რომელიც სამხრეთ ოსეთში რუსული ხელისუფლების ნებართვის გარეშე მოხვდა. ქართველი დევნილები ადგილებს მასობრივად ტოვებდნენ. გზებზე გვამები და დამწვარი ავტომობილები ეყარა. იმისათვის, რომ ნიქოზისთვის მიყენებული ზიანი დამენახა, მეგობრებმა შესაღამოვებისას, სანამ მთლად არ დაბნელდა და მოწინააღმდეგის ღამის ხედვის მოწყობილობებს რომ არ დავეფიქსირებინეთ, რაც თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა, გორაკის ფერდობზე მოვკალათდით. შესაძლებელი იყო სოფელში ნანგრევები თუ ნგრევის კვალი და სამონასტრო კომპლექსი დაგვენახა. თავად ეკლესია დაზიანებულად არ ჩანდა, მაგრამ არანაკლებ ღირებულ ისტორიულ ძეგლს — ახლომდებარე საეპისკოპოსო სასახლეს, როგორც ჩანს, სახურავი აღარ ჰქონდა, იგი ხანძრისგან დაზიანდა. ბინდდებოდა და ხილვადობა ცუდი იყო. მაგრამ ის, რაც მე დავინახე, მოწმეთა ჩვენებებითა და სხვა ცნობებითაცაა დადასტურებული.

ნიქოზის ეკლესიის ისტორია V საუკუნიდან იწყება. ქართველებში იგი ცნობილია, როგორც პირველი წამებულის ეკლესია. ლეგენდის მიხედვით, წმინდა რაჟდენი ირანული ცნობილი გვარის მეომარი იყო. იგი სასანიდების ეპოქაში ამ ადგილზე მსახურობდა. მერე ქრისტიანად მოიქცა, იგი აწამეს, რათა ზაროასტრიმში დაებრუნებინათ. მან უარი თქვა, წამებაში მიიცვალა, ხოლო მისი სასაფლაო მომლოცველთა ცენტრი გახდა. ამ ადგილზე V საუკუნეში საქართველოს მმართველმა და თბილისის დამაარსებელმა ვახტანგ გორგასალმა ეკლესია ააშენა. XI საუკუნეში შენობა გადააკეთდა, მის მახლობლად კი საეპისკოპოსო სასახლე ააშენეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ საეკლესიო ცხოვრება აქ განსაკუთრებული გულმოდგინებით ამოძირკვა, რადგანაც სტალინი წარმოშობით ახლომდებარე ქალაქ გორიდან იყო, ხოლო ბელადის მუზეუმი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 210.

ფელი არ დაუტოვებია. ცნობები ეკლესიის თაობაზე საკმაოდ წინააღმდეგობრივია — ზოგი ამბობს, რომ იგი უმნიშვნელოდ დაზიანდა, თუმცა შუასაუკუნოვანი ეკლესია გაიქურდა, ხოლო მის შიგნით ყველაფერი ამოიბუგა. დაინგრა ახალაშენებული შენობა, სადაც სკოლა უნდა განთავსებულიყო. ეპისკოპოსი ანდრია თვლის, რომ კომპლექსი, უპირატესად მაროდიორების ქმედების გამო დაზიანდა. გორის ახლომდებარე სოფლებში იგი და სხვა მღვდლები გაქურდეს, ოსი მოლაშქრეები მათ იარაღით ემუქრებოდნენ.

ამავე დროს გორში სტალინის მუზეუმი, რომელიც მე ოკუპაციის დროს ვნახე, ხელუხლებელი დარჩა, თუ არ ჩავთლით ქართულ დროშას, რომელიც მუზეუმის კოშკზე ფრიალებდა. სნაიპერმა წმინდა გიორგის წითელი ჯვრები გახვრიტა. მუზეუმი ახლა რუსი ჯარისკაცების მომლოცველობის ადგილი გახდა, სადაც ისინი ყოველდღე მუზეუმის ფონზე სურათებს იღებდნენ. მუზეუმის მცველმა, ენერგიულმა მოხუცმა ქალმა გაქცევაზე უარი თქვა. მან მიამბო, რომ რუსი ოფიცრები ცრემლიანი თვალებით (საღამოსკენ რუსი სამხედროების უმრავლესობა უკვე მთვრალი იყო) მასთან მუდმივად მოდიოდნენ და მუზეუმზე ზრუნვის გამო მადლობას უხდიდნენ, ეხვეოდნენ და ეუბნებოდნენ: „იგი დიდი ადამიანი იყო. მისი დამსახურებაა, ჩვენი ქვეყანა ერთიანი რომ იყო“.

იცოდნენ კი მათ, რომ ამის გამო სტალინი მკაცრად გაუსწორდა ქართველების მთელს თაობას, ოსები ცხინვალსა და მის გარშემო დაასახლა, რის შედეგადაც ამგვარი პრობლემები შეიქმნა? „ისინი ალკოჰოლიკები არიან — ზიზღით აღნიშნავს მცველი ქალი. თავად რატომ არ გაიქცა ქალაქიდან? იმიტომ, რომ ეს მუზეუმი ისტორიის ნაწილია და ჩვენ ვალდებულნი ვართ შევინახოთ იგი, — მიპასუხა მან.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**
**(გაგრძელება იქნება)**

### ვითხოვ სიტყვას!

# როდემდე ვითმინოთ „ბოევიკთა“ თარეში?

***დუღს და თუხთუხებს რუსეთი.***

***მედვედევ-პუტინის ხელისუფლებას სულ უფრო და უფრო უჭირს იმ ე. წ. „ტერორისტული აქტების“ გაუვნებლება, ხან ჩეჩნეთში რომ ფეთქდება, ხან — დაღესტანში, ინგუშეთში და კიდევ სხვაგან.***

არავითარი ტერიტორიული! ეს შურისძიების აქტებია, კავკასიელი პატრიოტების პასუხია მათს მიწაზე რუსეთის რეგულარული ჯარების პარპაშზე, რომელიც უკვე საუკუნენახევარზე მეტია, გრძელდება. ხელისუფლება სასტიკად უსწორდება ეგრეთ წოდებულ ტერორისტებს, „ბოევიკებს“, „ბანდიტებს“ (რუსული მედია მათ ნაირ-ნაირი სახელით მოიხსენიებს). დასდევს მათ მთელ კავკასიაში — მთებში, ტყეებში, დაბა-სოფლებში, ცოცხლად წვავს სახლებში თუკი მათ სადმე თავი შეაფარეს.

იმპერიის ტერიტორიული მთლიანობა წმინდა და ხელშეუხებელია!

ზეიმობს რუსეთის ტელევიზია: ინგუშეთში „ბოევიკების“ კიდევ ერთი ბანდა გაანადგურეს!

არა, მეგობრებო, „ბოევიკები“ კი არა, ინგუშებს სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ახალგაზრდები მოუკლეს!

ერთიც. ქართულ ენაში, თუნდაც ბრჭყალების თანხლებით, როდემდე უნდა ვაპარპაშოთ სიტყვა „ბოევიკი“? ნუთუ ჩვენს ენას თავისი ბრჭყალები არა აქვს, რომ უცხო მხრიდან გადმოხვეწილი სიტყვები მოიგერიოს და ოჯახში არ შემოუშვას? როგორ არა, აქვს, მაგრამ ამისათვის საჭიროა თავად ჩვენ ვმეტყველებდეთ კარგი ქართულით. მე ჩემს თავს ვტირი, თორემ ჩვენი ტელეწამყვანების ქართულს რომ არავინ შენატრის, ვიცი.

ამ ბოლო დროს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოჩნდა „ბოევიკის“ შესატყვისი სასიამოვნო ჟღერადობის „მოთარეშე“. მშვენიერი სიტყვაა! იგი ჩვენს სასაუბრო ლექსიკაში ისედაც იშვიათი სტუმარია და მოდით, ჩავაყენოთ ქართული ენის სამსახურში.

მაგრამ ვატყობ, „ბოევიკს“ ასე იოლად ვერ შეელევიან სატელევიზიო არხებზე, მეტადრე საზოგადოებრივზე.

ქართული სალიტერატურო ენის ბოევიკებო, თქვენ მაინც ნუ შეერთდებით!

**გურამ ვაშაკიძე,**
**ბოდბისხევიდან**

### მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ორი თვის წინათ საავტომობილო კატასტროფაში მოვყევი. მომკვეთეს ორივე ქვემო კიდური. ახლა უცხოური პროთეზის შეძენას მპირდებიან მშობლები, რომლებიც ძალიან განიცდიან ჩემს მდგომარეობას, რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ინვალიდობის პენსია დამენიშნოს?**

**ბესო მერლანი**

**პასუხი:** ინვალიდობის პენსიის დასანიშნად აუცილებელია განსაზღვრული გქონდეთ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე თავდაპირველად მიმართოთ თქვენი უბნის პოლიკლინიკას, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, პენსიის დანიშვნის საკითხზე უნდა მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს განყოფილებას.



* * *

**კითხვა: დაწესებულების ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავარღვიე შრომის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც წყვეტს ჩემთან დადებულ შრომით ხელშეკრულებას. მე კი მიმაჩნია, რომ ჩემს მოვალეობას კარგად ვასრულებ. გთხოვთ, განსაჯოთ, რომელი ვართ სწორი და თუ თქვენ ამას ვერ შეძლებთ, ის მაინც მირჩიეთ, ვის მივმართო?**

**ლია კიკნაველიძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, ნამდვილად არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. მაგრამ შეუძლებელია გიპასუხოთ, ნამდვილად დაარღვიეთ თუ არა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე მიმართოთ უშუალოდ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მუშაობთ, ხოლო თუ მისი პასუხით უკმაყოფილო დარჩებით, — სასამართლოს.

* * *

**კითხვა: ვარ მძიმე ავადმყოფი, უკვე სამი თვეა, ბანკიდან პენსია ვერ ავიღე. ეს შეიძლება გახდეს პენსიის შეწყვეტის საფუძველი?**

**გიორგი ჩაფიძე**

**პასუხი:** ეს არ შეიძლება გახდეს არც პენსიის შეწყვეტის და არც შეჩერების საფუძველი. ვინაიდან, კანონის თანახმად, პენსიის გაცემა შეიძლება შეჩერებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხას არ გატანათ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში. თქვენ კი, როგორც შეკითხვაში აღნიშნეთ, ბანკისთვის პენსიის მისაღებად მხოლოდ 3 თვის განმავლობაში არ მიგიმართავთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ომის ქართული ვერსია კითხვის ნიშნის ქვეშაა



**როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, ეუთოსგან დამოუკიდებელი სამხედრო მეთვალყურეების შეფასებით, საკითხი დადგა – გავარკვიოთ, როგორ დაიწყო ომი რუსეთსა და საქართველოს შორის.** კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საქართველოს განცხადებაც იმის შესახებ, რომ იგი მხოლოდ თავს იცავდა რუსეთისა და სეპარატისტების თავდასხმისგან.

ახალი მონაცემების თანახმად, გამოუცდელმა ქართულმა არმიამ დარტყმა მიაყენა სეპარატისტების დედაქალაქ ცხინვალს უწესრიგო საარტირელიო და სარაკეტო ცეცხლით. შედეგად დაზარალდნენ მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსი სამშვიდობოები და უიარაღო საერთაშორისო მეთვალყურეები.

ეს აყენებს საკითხს ქართული მხარის პატიოსნების შესახებ, რომელიც ასე დაბეჯითებით ლაპარაკობდა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქზე ზუსტი დარტყმების შესახებ. თბილისის ვერსიით, ეს იყო იძულებითი პასუხი ქართული სოფლების მისამართით სროლებისათვის.

ამავე დროს, როგორც საერთაშორისო მეთვალყურეები აღნიშნავენ, 7-8 აგვისტოს ქართული ჭურვები და რაკეტები ქალაქში ფეთქდებოდა ყოველ 15-20 წამში, და მხოლოდ პირველი საათის განმავლობაში ქალაქში 48 აფეთქების ხმა გაისმა. მათვალყურეები ასევე ვერ ადასტურებენ ინფორმაციას ქართული სოფლების მასობრივი დაბომბვის შესახებ იმ საღამოს.

საქართველოს ოფიციალური პირები უარყოფენ ამ განცხადებას და უკვე მოუწოდეს დასავლეთის ლიდერებს, არ მიაქციონ მათ ყურადღება. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია შეეცადა გახუმრებას: „ვინ ითვლიდა მაშინ იქ აფეთქებებს? ეს ხომ უცნაურად ჟღერს“. მოსკოვმა სიხარულით აღიქვა მეთვალყურეების განცხადება, ვინაიდან ეს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის სიტყვებით, ასახავს „მოვლენათა ნამდვილ მსვლელობას, რომელიც წინ უძღოდა ქართულ აგრესიას“.

როგორც ეუთოს მისია იტყობინებოდა, 7 აგვისტოს შენიშნულ იქნა ქართული არტილერიისა და სარაკეტო დანადგარების მასირებული გადაადგილება ქალაქ გორის ჩრდილოეთით.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, მეთვალყურეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ საქართველოდან სროლების დაწყებამდე არ ისმოდა აფეთქებული ჭურვების ხმა. ამ დროს ორი ქართული სოფელი ოთხიდან, რომლებიც, თბილისის ვერსიით, იბომბებოდნენ, იმყოფება შტაბ-ბინის სიახლოვეს. უფრო მეტიც, მეთვალყურეები აწარმოებდნენ აფეთქებული ჭურვების აღრიცხვას საქართველოს მხრიდან.

ქართული მხარე ამტკიცებს, რომ დარტყმა იყო წერტილების მიხედვით, ქალაქი კი დაინგრა რუსეთის კონტრდარტყმის შედეგად მეორე დღეს. ამავე დროს თბილისი დარტყმებს მშვიდობიან კვარტალებზე ხსნის იმით, რომ ოსები მალავდნენ იარაღს მოსახლეობის შენობებში. ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ. ამავე დროს ეუთოს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში, ბრიტანეთის არმიის ყოფილი კაპიტანი რაიან გრისტი საქართველოს მხრიდან ამ თავდასხმას უწოდებს „უწესრიგო თავდასხმას ქალაქზე“. აგვისტოში გრისტმა გამართა ბრიფინგი ევროკავშირის დიპლომატებისთვის, სადაც გამოთქვა თავისი თვალსაზრისი. მაგრამ მალე იგი გადადგა გაურკვეველი მიზეზების გამო. მეორე ბრიფინგი სამხედრო ატაშეების წინაშე გამართა მეთაურმა იანგმა უკვე ოქტომბერში, რომელზეც კვლავ გამოითქვა მეთვალყურეების პოზიცია.

ძნელია, გაერკვე რუსეთისა და საქართველოს ურთიერთბრალდებებში, მაგრამ უპასუხოდ რჩება შეკითხვა: რა შეიცვალა 7 აგვისტოს 19 საათიდან, როდესაც სააკაშვილმა გამოაცხადა ზავის შესახებ, 23.30 საათამდე, როდესაც მან გასცა ბრძანება საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შესახებ? როგორც აღნიშნავენ, რუსეთი და სამხრეთ ოსეთი მიიჩნევენ, რომ ეს იყო სატყუარა, რათა უზრუნველეყოთ ძალების გადაადგილების შესაძლებლობა და დაებნიათ მშვიდობიანი მოსახლეობა.

როგორც სტატიის ავტორები აღნიშნავენ, მისიის მეთვალყურეები ამჟამად რთულ მდგომარეობაში აყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ერთი მხრივ, ვაშინგტონი მთელი ეს წლები მხარს უჭერდა სააკაშვილის რეჟიმს, მეორე მხრივ – მას ყოველთვის ჰქონდა ეუთოს პროფესიონალიზმის იმედი.

**კრისტოფერ ჩივერსი,**
**ელენ ბარი.**

The New York Times

# საქართველო: წაიშალოს დამარცხების კვალი

**ქართველებმა ოდნავ თავისუფლად ამოისუნთქეს რუსეთის ჯარის ნაწილობრივი უკან დახევის შემდეგ. დღეს დადგა მიხეილ სააკაშვილის რიგი, აღმოჩნდეს საბრალდებო სკამზე, მიიჩნევს ოპოზიცია. საქართველოს დემოკრატია ჯერ კიდევ რუსეთის შემოჭრამდე საფრთხეში იყო.** ამჟამად იგი კიდევ უფრო მეტი საფრთხის წინაშეა. დასუსტებული მთავრობა ცდილობს გადააქციოს თავისი სამხედრო დამარცხება დიპლომატიურ გამარჯვებად, მოიზიდოს თავის მხარეზე საერთაშორისო გაერთიანება. მაგრამ მოწოდებანი ეროვნული ერთიანობისკენ არ შეიძლება გადაიქცეს მოსახლეობის დაბნეულობად, რომლის უმცირესი მცდელობაც კი პროტესტისა, უმალვე აღმოიფხვრება ხოლმე. გათიშული ოპოზიცია საბოლოო ჯამში ვერ ითხოვდა მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. უკეთესი მომავლის მოლოდინში იგი თავის მოთხოვნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ლიბერალიზაციას, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმასა და აგვისტოს ომის გამოკვლევის დამოუკიდებელი კომისიის შექმნას უკავშირებენ.

უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობისთვის უფრო საშიშია კრიზისის მსხვერპლი. უნდა გაირკვეს, კვლავ დაუჭერენ თუ არა მხარს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ისინი, რომლებიც კონფლიქტის გამო იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ მშობლიური ადგილები, თუ, პირიქით, გაერთიანდნენ და შექმნან სახალხო ოპოზიციური ძალა. მათ დაკარგეს თავიანთი სახლები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში, მათ დასაკარგი აღარაფერი აქვთ და ისინი თანდათანობით გრძნობენ, რომ ძნელად თუ დაბრუნდებიან უკან. აგვისტოში რუსეთის ჯარების მოძრაობამ ქალაქ გორის ფარგლებს გარეთ გამოიწვია პანიკა: დაახლოებით 128 ათასი კაცი გაიქცა საქართველოს დედაქალაქ თბილისში. ამჟამად უმეტესობა უკვე დაბრუნდა თავიანთ სახლებში, მაგრამ დაახლოებით 40 ათასი კაცი კვლავ საზოგადოებრივ შენობებში ცხოვრობს გაურკვეველ მდგომარეობაში, წინ კი მკაცრი ზამთარია მოსალოდნელი, რისთვისაც სრულიად არ არის აქ პირობები.

დაძაბული ატმოსფერო ფიზიკურადაც შეიმჩნევა. ლტოლვილები, რომლებიც განთავსებული არიან სკოლებში, საბავშვო ბაღებში, მუნიციპალურ შენობებში, საბოლოო ჯამში ხელს უშლიან ქალაქის მცხოვრებლებს, ხოლო კომპანიები, რომლებიც ფლობენ უძრავ ქონებას, ზემოქმედებას ახდენენ მთავრობაზე, რათა გაათავისუფლოს საცხოვრებელი ადგილები. „პირველი ტალღის“ ლტოლვილები, რომლებიც არიან 1991-1993 წლების კონფლიქტების მსხვერპლი, გამოხატავენ უკმაყოფილებას იმის გამო, მათი თანამოძმეები 2008 წლის უბედურებებში, უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ. რამდენიმე დღის წინათ ისინი შეეცადნენ შესულიყვნენ ისანის ყოფილი სამხედრო ჰოსპიტლის შენობაში, სადაც იმყოფებიან სამხრეთ ოსეთიდან გამოქცეული ქართველები. მათი „შტურმი“ მოგერიებული იქნა, მაგრამ ისინი აღშფოთებული არიან ხელისუფლების მოქმედებით, რომელმაც თავის დროზე აუკრძალა მათ ამ შენობაში შესვლა, რომელიც 1995 წლამდე რუს ჯარებს ეკავათ.

ხელისუფლების ერთგვარი შეშფოთების ნიშანია ის, რომ პოლიცია თვალყურს ადევნებს საზოგადოებრივ შენობებს, სადაც ცხოვრობენ „უკანასკნელი ომის“ ლტოლვილები. ოფიციალური საბაბია თაღლითობის თავიდან აცილება მათგან, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ ჩაწერილები არიან ლტოლვილების ბანაკებში, რათა მიიღონ სურსათი. ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გადაადგილებული პირების საქმით დაკავებულია შინაგან საქმეთა მინისტრი და არა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, რომელსაც ევალება ზედამხედველობა 4 ათასი და მეტი სახლის მშენებლობაზე, სადაც უნდა განსახლდნენ კონფლიქტის მსხვერპლი ადამიანები.

როგორიც არ უნდა იყოს ხელისუფლების რეალური ჰუმანიტარული მიზნები, მთავარია, რომ წაიშალოს დამარცხების კვალი. 20 აგვისტოს ჟურნალისტებმა მიიღეს მითითება – აღარ მოამზადონ რეპორტაჟები გადაადგილებული ოჯახების და უკვალოდ დაკარგულ ადამიანთა შესახებ: ამ რეკომენდაციების შესრულება რთული არ არის, ვინაიდან მასობრივი ინფორმაციის პრაქტიკულად ყველა საშუალებას აკონტროლებს მთავრობა.



„უსახლკაროთა“ დახმარების მოწოდებით, საქართველოს მთავრობა სინამდვილეში საერთაშორისო გაერთიანებას სთავაზობს საფინანსო რეკომენდაციებსა და მთელი ქვეყნის განვითარებას. ნატოში შესვლის ნებართვის ნაცვლად საქართველომ მიიღო 3,4 მილიარდი ევრო, რაც მოხმარდება პოსტსაბჭოთა ეკონომიკის მოდერნიზაციას და არა მხოლოდ ომის მსხვერპლთა დახმარებას. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო დახმარება დროებითი ღონისძიებაა, რომელიც საშუალებას აძლევს დასავლეთს განამტკიცოს თავისი ყოფნა კავკასიაში, თანაც არ იკისროს პასუხისმგებლობა სამხედრო თვალსაზრისით.

**მარკ ანტუან**
**პერუზ დე მონკლო**

Libération.fr

# ევროპას, და არა ამერიკას შესწევს ძალა, აიძულოს რუსეთი, მოიქცეს წესიერად

**სწორედ ევროპას, და არა ამერიკის შეერთებულ შტატებს, შესწევს ძალა, აიძულოს რუსეთი, მოიქცეს წესიერად, ამტკიცებენ ცნობილი დასავლელი ექსპერტები და დიპლომატები გაზეთის ფურცლებზე.** სტატიის ორი ავტორი – ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩები არიან საქართველოში, დენის კორბოი კი სათავეში უდგას ლონდონის კინგს-კოლეჯის კავკასიის პოლიტიკურ ინსტიტუტს.

ავტორები შეგვახსენებენ, რომ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო საფრანგეთის პრეზიდენტის უშუალო შუამდგომლობით, და სვამენ კითხვას: ეს იყო უბრალოდ ბედისწერა თუ ევროკავშირის ძალის ნიშანი?

და თავადვე უპასუხებენ ამ შეკითხვას: „ევროპის ნამდვილი წონა – რუსეთისა და მისი ხალხის მიმართ მისი მიმზიდველობაა“. მათი აზრით, ამჟამად ევროპას შეუძლია მოსკოვის მოთოკვა, ვინაიდან იგი რუსეთისთვის არის მეზობელი და რუსული ენერგშემცველებისა და მინერალური ნედლეულის დიდი შემსყიდველი (2007 წელს ევროკავშირზე მოდიოდა რუსეთის საგარეო საქონელბრუნვის 50 პროცენტზე მეტიძ. „რუსებს მოსწონთ ევროპა – მდიდარი და სტაბილური რეგიონი, სადაც დიდია სახელმწიფოს როლი, ხოლო მოქალაქეები იყენებენ უხვ სოციალურ შეღავათებს“, – წერენ ავტორები.

ისინი აღნიშნავენ, რომ ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტმა ევროკავშირს სტრატეგიული პარტნიორი უწოდა, მაგრამ რუსეთის ქცევას ბოლომდე არ შეიძლება ენდოს ადამიანი. მათი აზრით, „დარტყმის შემდეგი სამიზნე უკრაინა გახდება“.

„მაგრამ ევროკავშირს ბევრი უპირატესობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან შედარებით რუსეთზე აღმზრდელობითი ზემოქმედების ნაწილში, ვინაიდან მრავალი წლის განმავლობაში ბევრი რუსი მათ ეჭვის თვალით უყურებს“.

ავტორები სთავაზობენ ევროკავშირს, შეიმუშაოს საქართველოს და უკრაინის ეტაპობრივი ინტეგრაციის პროგრამა, რასაც თან უნდა ახლდეს ენერგიული ევროპა – რუსეთის დიალოგი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სულისკვეთებით, აგრეთვე წამოაყენოს წინადადება რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის გაფართოების შესახებ იმ პირობით, თუ რუსეთი თავის მეგობრებსა და ეკონომიკურ პარტნიორებს მოეპყრობიან სამართლიანად.

„სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებით დასავლეთმა უნდა განახორციელოს ხანგრძლივი სტრატეგია 1940 წელს სსრ კავშირთან ბალტიის ქვეყნების ძალით მიერთების უღიარებლობის სტრატეგიის შესაბამისად“, – რეკომენდაციას იძლევიან სტატიის ავტორები და ამტკიცებენ, რომ ეს პოლიტიკა დაეხმარა დასავლეთს, დაეცვა მოსკოვთან დიალოგში ისეთი პრიორიტეტული მიზნები, როგორიცაა კონტროლი ბირთვულ შეიარაღებაზე.

ავტორების მოსაზრებით, კარგი გამოსავალი შემოგვთავაზა პრეზიდენტმა სარკოზიმ თავის გამოსვლაში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე მიმდინარე წლის შემოდგომაზე: „რატომ არ უნდა შევქმნათ მთელს კონტინენტზე საერთო ეკონომიკური სივრცე, რომელიც გააერთიანებდა რუსეთსა და ევროპას?“.

რუსეთის იზოლაცია იქნებოდა ისტორიული მასშტაბის შეცდომა, აღნიშნავენ ავტორები და ევროპას და ევროკავშირს მოუწოდებენ, დააჩქარონ „რუსეთის ავტორიტარიზმისა და იმპერიალიზმისგან გამოღვიძების“ პროცესი – შესთავაზონ უფრო მჭიდრო ინტეგრაციის პერსპექტივები, რათა რუსეთი პატივს სცემდეს მეზობლების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

**დენის კორბოი,**
**უილიამ კარტნი,**
**კენეტ იალოვიცი.**

The Christian Science Monitor

ყველას თავისი აზრი აქვს

# მცირედით მაინც რომ მოვიშუშოთ ჩვენს სულში არსებული მძიმე ჭრილობები

დღეს ცხადზე ცხადი გახდა, რომ ე. შ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – დსთ, სსრ კავშირის ახალი მოდელი – არანაკლებ მიუღებელია ჩვენთვის. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ კარგად იცოდა, რომ ხელოვნურად შეკოწიწებული კონგლომერატი – დსთ ახლადგანთავისუფლებული სახელმწიფოებისათვის რუსეთის უღლის ხელახლა დასადგმელად იყო ჩაფიქრებული. ამიტომაც მტკიცე უარი თქვა დსთ-ს ყულფში თავის გაყოფაზე. მასში გაწევრება მისთვის და მისი ხელისუფლებისთვის პოსტის შენარჩუნების გარანტი იქნებოდა, საქართველოს კი თავისუფლებასა და დემოკრატიულობას დააკარგვინებდა.

არანაკლებ კარგად იცოდა ეს ედუარდ შევარდნაძემ, მაგრამ დსთ-ში მაინც შეიყვანა საქართველო. სამაგიეროდ მიიღო ხელისუფლება ტრიუმვირატ სიგუა-იოსელიან-კიტოვანთან ერთად, რაც უთვალავ სისხლად და ცრემლად დაგვიჯდა.

როგორც იქნა, თავს ვაღწევთ დსთ-ს და სავსებით სამართლიანი და მართლზომიერი იქნება ამ „ნავს“ თან გავაყოლოთ მასში საქართველოს შეყვანის ინიციატორები. ეს უსათუოდ შეუწყობს ხელს საქართველოს გამთლიანებას, ქართველი ერის ზნეობრივ და სულიერ გაერთიანებას.

როგორც აშშ სამხედრო მინისტრმა გეიტსმა ბრძანა, საქართველოს ანექსია ხდება იმიტომ კი არა, რომ რუსეთს აფხაზეთის ან „ოსეთის“ რაიმე სტატუსი აწუხებს. არა! საქართველოს რუსეთი იმიტომ სჯის, რომ ის დასავლეთის ცივილიზაციისაკენ მიისწრაფვის, ნატოსკენ მიდის.

რომ ნატოში შესვლისათვის საქართველოს დასჯიდნენ, ადრევე გვიწინასწარმეტყველა ობიექტურმა, უშიშარმა (რეპორტაჟები ჩეჩნეთიდანძ რუსმა ჟურნალისტმა იულია კალინინამაც: რუსების „ცოფმორეული აღშფოთება განახლდება, რამდენადაც საქართველომ ბლოკთან (ნატოსთანძ შეერთება გადაწყვიტა. ჩვენ ბოლო თვეებში საკმაოდ ეფექტიანად დავაშინეთ საქართველო, ამიტომ იქ ყველა პირობაა შექმნილი ნატოში შესასვლელად. საქართველოსთვის ბრძოლა გვპირდება იყოს ზედმიწევნით „წარმტაცი“.

როგორც ვნახეთ, ეს „წარმტაცი“ ბრძოლა დასრულდა საქართველოს ოკუპაციით (ჯერჯერობით მაინცძ, ჩვენი შვილების, დების, ძმების, ახლობლების, შორებლების სიკვდილით, აწიოკებით, გამოდევნით, დამცირებით და ა. შ. ყველაფერ ამაში, სისხლისმოსურნე, მპყრობელი რუსეთის იმპერიის დაჟინებულ მცდელობასთან ერთად, „ლომის წილი“ მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს. განა მარტო ეს საკმარისი არ არის, მისი სრული იზოლაციისათვის?! დავუმატოთ როკის გვირაბი, 9 აპრილი... შევარდნაძემ და მისმა ხუნტამ სხვა მრავალი უპატიებელი დანაშაულიც ჩაიდინეს. ამიტომ წინადადებას ვაყენებთ, რომ:

ედუარდ შევარდნაძე გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად;

თენგიზ სიგუა გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად;

თენგიზ კიტოვანი გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად.

საქართველოს საზოგადოებამ გაიგოს, თუ რა დამსახურებისათვის მოხდა ჯაბა იოსელიანის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დასაფლავება: „ნიღბების“ გამო ქართული თეატრისათვის „ბანანის ქვეყნისათვის“, მშვიდობიან მომიტინგეთა დახვრეტისათვის, თუ სამეგრელოს მრავალგზის დალაშქვრისათვის, მისი ნეშტის დიდუბის სავანეში ყოფნა შეურაცხყოფაა იქ განსვენებულ დიდებულ ქართველთა სულებისთვის.

მთავარია: საქართველოში 1991-1992 წ.წ. დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს მიეცეს პოლიტიკური შეფასება.

ეს იმიტომ, რომ სიმართლემ ნაწილობრივ მაინც იზეიმოს. ამას არა აქვს რაიმე შურისძიების მიზანი. მხოლოდ ის გვინდა, რომ დავიწყებას არ მიეცეს საქართველოსთვის უმძიმესი და ტრაგიკული პერიოდი. არ დავივიწყოთ, თუ ვისი „დამსახურებით“ დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, მცირედითაც მაინც რომ მოვიშუშოთ ჩვენს სულში არსებული მძიმე ჭრილობები.

**ალეკო თოდუა**, ჰელსინკის კავშირის ზუგდიდის ორგანიზაციის გამგეობის ყოფილი წევრი, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ყოფილი ინდივიდუალური წევრი, რუხის გამგებელი, დევნილი; **ვლადიმერ ჯოლოგუა**, კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მწერალი; **ვალტერ შურღაია**, კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი; **ინდიკო ქობალია**, ზუგდიდის რაიონის ყოფილი პრეფექტი; **ზაურ ქობალია**, კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე; **მადონა მაქაცარია**, საზოგადოება „ხსოვნის“ თავმჯდომარე; **მზიური კვარაცხელია**, „ხსოვნის გამგეობის წევრი.

ვითხოვ სიტყვას



# სანანებელი არ გაგვიხდეს

*ვინცა დიდ სახელმწიფოს ხელმწიფებს,*
*მარადი სიმშვიდე და მოთმინება მართებს*
*ლაო-ძი*

**რუსულმა აგრესიამ განა სხვებზე ნაკლებად დამბოღმა, მაგრამ უბრალო ანალიზმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რასაც ქვემოთ გთავაზობთ. არა მგონია რუსეთი ბოლომდე აგრესორად და იმპერიული ზრახვების გამტარებლად დარჩეს და მისი სადავეები ხელიდან არ გაუსხლტდეს, მით უფრო, რომ ის სხვადასხვა მენტალიტეტისა და რელიგიის გამტარებელ ხალხთა კონგლომეტრია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის რუსები, რომლებიც საქართველოში გაჩაღებულ აგრესიას დაუპირისპირდნენ, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად მოვლენ ქვეყნის სათავეში და შეცვლიან დახავსებული ცნობიერების და აზროვნების ბებრებს, რომლებიც დღეს ყველგან არიან მოკალათებული: ხელისუფლებაში, მთავრობაში, პრეზიდენტის გარემოცვაშიც...**

პუტინ-მედვედევისეული (ეს უკანასკნელი პირველის ალიკვალია, ლაპარაკსა და სიარულშიც ბაძავს მასძ აგრესია ჩვენი ქვეყნის მიმართ გაუგონარი რამ არის. ჯერ ერთი, ორივე, სახელმწიფო (რუსეთიც და საქართველოცძ გაეროს და ევროსაბჭოს წევრები არიან და, რაც მთავარია, მათ ერთი რელიგია აერთიანებთ.

უდიდესი სულიერი ტრამვა მოგვაყენა პუტინის რუსეთმა, ეკონომიკაც გაგვინადგურა, მაგრამ მთავარი მაინც სულიერი ტკივილი გახლავთ. ჩვენებურები ვერა და ვერ ივიწყებენ რუსი ჯარისკაცების ბარბაროსულ თარეშსა და უხეშობას. სწორედ ამის გამო ბევრი მოითხოვს სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლის სასწავლო პროგრამებიდან რუსული ენის ამოღებას. ცხადია, იმ „ბევრს“ ამ გადაწყვეტილების მიღებას ვერც გაუმტყუნებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთი რამ გვავიწყდება, მართალია, ქართველთა გონებაში ანტირუსული ვირუსი (ლავროვ-კალანტარიანის გამოთქმააძ შემოიპარა, მაგრამ ეს ხომ პუტინის ბრალია და არა რუსი ხალხისა.

ახლა კი, სხვა კუთხიდან შევხედოთ დღეს შექმნილ მდგომარეობას.

პუტინი, მედვედევი, ჟირინოვსკი, ბაბურინი და სხვები – შოვინისტურ-იმპერიული სულისკვეთების გამტარებელი პიროვნებები – განა სამუდამოდ მიეწებებიან თავიანთ სავარძლებს? უთუოდ მოვლენ ხელისუფლებაში დემოკრატები, აი, მაშინ ჩვენს მომავალ თაობებს ხელახლა შეექმნებათ სასწავლი რუსული ენა, ვინაიდან იგი ერთ-ერთი საერთაშორისო ენაა! განა ჰიტლერი ნაკლები აგრესორი იყო?, მაგრამ გერმანული ენა მაინც დარჩა ერთ-ერთ საერთაშორისო ენად. გამოდის, რომ დროს ვკარგავთ, უაზრო სიცარიელეს ვქმნით რუსული ენის სწავლებიდან ამოღებით. ასე რომ, რუსული აგრესიით გაგულისებულ თანამემამულეთა წადილი სავსებით ბუნებრივია, მაგრამ სამომავლოდ მიუღებელი.

ერთი სიტყვით, არ ავჩქარდეთ, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი დიდსულოვნება გამოვიჩინოთ...

**ანზორ გვარამია**

შეისმენთ?

# მე, ქვემორე ხელისმომწერი...

**აგვისტოს იმ ყოველმხრივ ცხელ დღეებში, იმ ტრაგიკულ დღეებში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რამდენჯერმე ოპერატიულად შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე, ხან ღიაზე, ხანაც დახურულზე. საგულისყურო მიმართვები და დადგენილებები მიიღეს, მაგალითად, გადაწყვეტილება დსთ-დან (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან) გამოსვლის თაობაზე: ისეთ თანამეგობრობასთან, როგორადაც რუსეთი წარმოდგა, ერთ ორგანიზაციაში არცრა გვესაქმება და არცრა გვედგომება.**

ამავე დღეებში პარლამენტარები ხშირად ილანდებიან ცისფერ ეკრანზე, პატრიოტული სიტყვებით, მგზნებარე მოწოდებებით, მანუგეშებელი მონოლოგებით გამოდიან. რაკი მათი ერთ-ერთი დევიზი ომამდე ლაპარაკის ნაცვლად საქმე იყო, ასეთი საქმიანი წინადადებებით ვეხმიანები: მიდით (მოდით!ძ, ერთხელაც შეიკრიბეთ საგანგებო სხდომაზე, გინდა ღიად, გინდა დახურულად და ერთადერთი საკითხი განიხილეთ: თქვენი დიდი ხელფასების შეკვეცა, განახევრება მაინც და გამონთავისუფლებული ლარების გადაცემა დევნილთათვის. ეს ხომ ყოველთვიური ათიათასობით ლარია!

მარტო თქვენთვის ნუ კი დაადგენთ ხელფასების განახევრებას (თუ დაადგენთ!ძ, არამედ მინისტრთა კაბინეტის წევრებისთვისაც, ანუ მთავრობისა. სხვათა შორის, ეს ის კაბინეტია, სადაც ერთმა ქალბატონმა მინისტრმა რომ ამას წინათ შვილი გააჩინა (ღმერთმა უომარ საქართველოში გაუზარდოსძ, საკუთარ თავს – ძვირფასსა და საყვარელს, პრემიის სახით 15.000 (თხუთმეტი ათასიძ ლარი გამოუწერა, კიდევაც შერჩა და კიდევაც შეერგო.

ამ კეთილ საქმეში (ლაპარაკის ნაცვლად საქმეშიძ თუ მთავრობასაც აიყოლიებთ, ეს უკვე ასიათასობით ლარი იქნება ყოველთვიურად და მოულოდნელი ომითა და სრულიად ანაზდეული უბედურებით გამწარებულ ათიათასობით ადამიანს ერთგვარად შეეფარება.

ჩვენმა გაზეთმა ერთხელ უკვე შეგახსენათ, თუ როგორ შეიკრიბა ისრაელის ქნესეთი (პარლამენტიძ ერთხელ, ქვეყნის ბიუჯეტის კრიზისის ჟამს და ერთსულოვნად ჩამოიჭრა სახელმწიფო ანაზღაურება. შეიხსენეთ და მიბაძეთ – საქართველო ახლა იმჟამინდელ ისრაელზე ბევრად უარეს დღეშია.

რასაკვირველია, სჯობდა, რომ ამ იდეით მე, ქვემორე ხელისმომწერი ჟურნალისტი კი არ გამოვსულიყავი, არამედ რომელიმე თქვენგანი, პატივცემული დეპუტატებო, ეგებ სულაც ბატონი სპიკერი, ასე ხშირად რომ კაზმული სიტყვით გვმოძღვრავს, გვამშვიდებს და გვამხნევებს „პირდაპირ ეთერში“ (ნეტა ტკბილად მოუბარი ენით დუმელი კოლეგები გამოეყვანა, თავის დროზე, „ხვრელებიდან“...ძ.

ეგ არაფერი, ალალი იყოს თქვენზე ჩემი წინადადება, ოღონდ კი შეისმინეთ...

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

# ქართველი ნოტარიანტები კვებეკში

**ნოტარიატის** საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის დუარდო გალინოს მიწვევით, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე ნინო ხოფერია მონაწილეობდა ორგანიზაციის წევრ ნოტარიატთა 2008-2010 საკანონმდებლო წლის პირველ კონგრესში, რომელიც კანადაში, კვებეკში გაიმართა.

საქართველო ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრი 2007 წელს, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გამართულ კონგრესზე გახდა.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარემ კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებაში ძირითადი აქცენტი გააკეთა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე დამოწმებულ სანოტარო აქტებზე. – ნოტარიატის კავშირის ყველა წევრ ქვეყანას მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქცია ვერ ვრცელდება და ვთხოვეთ, მათ არ მიიღონ არალეგიტიმურ სახელმწიფოში დამოწმებული სანოტარო დოკუმენტები. კონგრესის მონაწილენი დაგვეთანხმნენ და ჩვენი მოთხოვნა კონფერენციის ანგარიშში ჩაწერეს, – აღნიშნა ნინო ხოფერიამ.

მისი განცხადებით, მომავალი წლის კონგრესზე საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის გენერალური საბჭოს წევრი იქნება.

ჯი-ეიჩ-ენი

## გილოცავთ, კოლეგა!

**კაცს სიმღერა რომ უყვარს, ლაღია სიმღერასავით, ლექსი რომ უყვარს, სათნოა ლექსივით, მეგობრის ლხინი რომ ულხინს (კარგი თამადაცაა) და ჭირი რომ მდუღრავს, გულია კეთილშობილი, საქართველო, ქართული და ქართველი რომ უყვარს, ნაღდი ქართველია, გულიანი სიცილი და ხუმრობა რომ უყვარს, კეთილია, ოცნებით ცაში რომ დაფრინავს, ფრთები აქვს არწივის!.. მე რომ მკითხოთ, კაცს რომ ლამაზი კალამი აქვს, არც ესაა ნაკლები, მაგრამ... ანანიკოს ბაბუაც თუ ხარ, მაშინ ხომ ნუ იტყვი!.. ასეთი კაცი სიყვარულით დაიარება ამ დუნიაზე და გეამაყება, მეგობარი რომ ხარ მისი!**

**ასეთია კაცი, რომელთან ერთად ახლა ერთ „თბილისურ ეზოში“ ვზივარ (სადაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაა შეხიზნული) და მოგონებებში ვართ „გადავარდნილი“, ვილენ მარდალეიშვილია!**

**ვილენმა არ იცის, რომ მე მისგან ინტერვიუს ვიღებ. უბრალოდ, ვსხედვართ და ვსაუბრობთ. რომ იცოდეს, თავისებურად აროხროხდება და „შემარცხვენს“, ალბათ... მე კი, სიცილ-ხარხარით, ხუმრობით, სევდაშეპარული მოგონებებით ვცდილობ ორიოდე სიტყვა „გამოვტყუო“ და გულითადად მივულოცო იუბილე! — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, სიჭარმაგეში შეაბიჯა კაცმა, — 65 წლის შესრულდა უკვე!**



# სიტყვა, სიმღერა, კალამი...

## ლაღ ტალღაზე აწყობილი საუბარი 65 წლის ვილენ მარდალეიშვილთან

— საოცარი ხალხი ვართ ქართველები, უცხოური იყოს და... ვინ უწოდა ნეტაი „იტალიური ეზო“ ამ ეზო-კარს? თბილისურია ეს ეზო და რად უნდა ამას ლაილაი... თბილისური ეზო განა სხვაზე ნაკლებია სილამაზით, სინდის-ნამუსით, ტრადიციებით?.. საოცარია პირდაპირ!

**— მერე შენ გეთქვა რაიმე პრესაში ამაზე... ვინ გიშლიდა?**

— მართალი ხარ შენ, ხომ იცი? მარა... ჩემს გარდა რამდენი ჟურნალისტია ამ ქვეყანაზე და რატომ არ მოაფიქრდა ვინმეს, ეთქვა ეს... რავა, ჩემი გასაკეთებელია ამ ოჯახში, ბატონო, ყველაფერი? — ამბობს და გულიანად იცინის. — ისე, გურამ გომართელმა დაწერა ერთხელ... სხვებმაც... ვის ესმის...

ასე იუმორში და ხალისში „მიდის“ ინტერვიუ ჟურნალისტისა ჟურნალისტთან. არადა, განა რამე განსაკუთრებული შეკითხვები მაქვს? — მინდა ორიოდე სიტყვით მომიყვეს მაღლაკელი ბიჭის თბილისში ჩამოსვლის ამბავზე, ოჯახზე, მშობლებზე, მეგობრებზე, სტუდენტობის წლებზე, პირველ ჟურნალისტურ ნაბიჯებზე, პირველ წარმატებებზე, საინტერესო შეხვედრაზე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეებთან და ა. შ. და ა. შ.



— რა უნდოდა, ბიჭო, მაღლაკიდან ჩამოსვლას?.. ნინა ნიქაბაძის ქალმა და ვენედიქტე მარდალეიშვილმა გამომაცილეს, თავიანთი სწავლას მოწყურებული ვაჟიშვილი და... ფილოლოგიურ მეცნიერებას „შევეჭიდე“ უნივერსიტეტში! მერე ის იყო... ბავშვობიდან კაი, გვარიანი ბარიტონი მქონდა და ეროსი მანჯგალაძეს ვბაძავდი... უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, მეყო სითამამე და საქართველოს რადიოში მივედი... ამიყვანეს. მერე იყო ტელევიზია! ცხონებულმა სოლიკო ლაფაურმა „ჩამავლო“ და გადაცემა წამაყვანინა. ...ერთხელ, ცნობილმა ჟურნალისტმა და რეჟისორმა რევაზ გამცემლიძემ კი დერეფანში გამაჩერა და მითხრა, — მირზა გელოვანის როლში უნდა გადაგიღოო... იმ პერიოდში ბელორუსიაში მირზას საფლავი აღმოაჩინეს და დოკუმენტური ფილმი გადაიღეს მასზე... რეზომ მხატვრული ნაწილი დაამატა და ასე გავხდი „კინოვარსკვლავი“... მაგარი იყო! მერე, ერთ საახალწლო გადაცემაში ყანწით ხელში მივულოცე საქართველოს ახალი წელი!... — სიცილს ვერ იკავებს.

**— რა გაცინებს, მერე?..**

— ა, რავარია?.. ვილენი ყანწით ხელში ტელეეკრანზე!.. ეს ის პერიოდი იყო, ჟურნალისტები ტელეგადაცემებს თუ საგაზეთო მასალებს სახელს გაშლილად ვერ ვაწერდით... ერთხელ მე და ზურაბ ქაფიანიძე ქუჩაში მივდიოდით. ზურაბს თავისი ძველი მეგობარი შეხვდა და გააცნო ჩემი თავი, — ეს **„ვ“** წერტილი მარდალეიშვილი გახლავსო... ბევრი ვიცინეთ ამ **„ვ“** წერტილზე... სასაცილო იყო, აბა, რა იყო?.. ეს მოგვიანებით იყო, მარა, ასეთი იყო მაშინ „სტილი“ და „განაწესი“! მასალას სახელს გაშლილად მხოლოდ „დიდი ხალხი“ აწერდა! ასე იყო და ჟურნალისტებიც „მორჩილებდნენ“ ამ „განაწესს“... მახსოვს, შენიშვნა რომ გამოთქვი ამის შესახებ, შენც როგორ „დაგერხა“ ტელევიზიაში!.. მე კი ის მახარებდა, რომ ბედნიერება მქონდა შევხვედროდი ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ: პავლე ინგოროყვა, აკაკი გაწერელია, მიხეილ ჭიაურელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, თენგიზ არჩვაძე... ჩვენი უმშვენიერესი სოფიკო ჭიაურელი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ!.. გაზეთმა მე მათთან შეხვედრების საშუალება მომცა! „კომუნისტს“ მაშინ ხელმძღვანელობდა ქართული ჟურნალისტიკის გამორჩეული ფიგურა, ბატონი დავით მჭედლიშვილი, მერე ბატონი გიორგი ბედინეიშვილი და, როგორც იქნა გავბედე გაზეთისთვის შემეთავაზებინა რუბრიკა „საკვირაო ნომრის სტუმარი“ და... მხარი დამიჭირეს! მხარდაჭერა კიდევ უფრო განმიმტკიცა ბატონმა გურამ გოგიაშვილმა. უკვე მოგვიანებით კი, ბატონმა არმაზ სანებლიძემ საავტორო გვერდი გამიხსნა — „საქართველო, ქართველი, ქართული“! და საგაზეთო მასალებში ოფიციალური მიმართვები უბრალო, ადამიანურმა, შინაურულმა ქართულმა შეცვალა, ამით უფრო ინტიმური, გულითადი და თავისუფალი გახდა საუბრები... მას მერე აქა ვარ, ოღონდ ახლა გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკა“ ჰქვია და მას მშობლიურ რედაქციას ვეძახი...

**— მერე, ეს საუბრები წიგნებადაც შეიკრა...**

— კი!.. ბევრი არაფერი, მაგრამ ოთხი წიგნი მაქვს გამოცემული... ერთმა, 1989 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა პუბლიცისტიკაში! მე და ბატონი გურამ ფანჯიკიძე ვიყავით წარდგენილები... ორივემ მივიღეთ!..

უცებ მოიწყინა, ჩაფიქრდა:

— ეჰ, ჩემო ზაურ, მერეც იყო ბევრი წარმატება, მარა იყო სევდაც...

**— „ლექსების ტომარას“ გეძახიან!.. —** შევეცადე „შემომებრუნებინა“ საუბარი...

— აპა!.. ბიჭო, აბა, როგორ გინდა! მთელი ცხოვრება ქართველ პოეტებთან და მწერლებთან, კულტურის კორიფეებთან გამიტარებია და ლექსი, გინდა თუ არა, თავს შეგასწავლის!..

**— შენ ისეთი „ოხერი“ ხარ, საკუთარიც გექნება...**

— აპა, პა, პა!.. ჩემი ლექსები რა მოსატანია... მარა ერთი „შედევრი“ დავწერე, ჯანსუღ კახიძის მუსიკას მივუსადაგე და ჩემს შვილიშვილს მივუძღვენი... გიმღერებ, თუ გინდა!. — „ანანიკოს, ანანიკოს, ანასო, ვერვინ ასწრებს დილით პირის ბანასო! ანანიკო, ანანიკო, ანაო, აბა ვის ჰყავს გოგო ჩემისთანაო“... — „ჩააგუგუნა“ ვილენმა თავისი ბარიტონით...

...ეზოში ხუთიოდე წლის ზურიკომ ჩაირბინა.

— გამარჯობა, ვილენ ბაბუ! — შესძახა და ბურთს გაეკიდა.

**— ვისია ეს ბავშვი?**

— ჩვენია, აქვე ცხოვრობს, ეზოში!.. რედაქციის შვილობილია!.. ყველას გვიცნობს... რა სჯობს იმას, ბავშვი რომ გიცნობს!

**— იცოცხლე, ჩემო ვილენ... მიხარია, რომ შენ იგივე ხარ მარად და მარად — ეროვნული, ბილწთან ზავის არშემკვრელი, გულის კოვზზე რომ გაწერია — „საქართველო, ქართველი, ქართული“... ღმერთმა ხელი მოგიმართოს!**

**ზაურ ფიფია**

## ახალი ლაურეატები

# სულიერების მსახურებისთვის

## ილიას ფონდმა და შპს „კალასმა“ 2008 წლის პრემიები მიანიჭეს ქართული მწერლობისა და კულტურის ღვაწლმოსილ ადამიანებს

უკვე რამდენიმე წელიწადია, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი (დირექტორი ანდრო ბედუკაძე) ყოველწლიურად ილიას ფონდისა და შპს „კალასის“ პრემიითა და ილია ჭავჭავაძის დიდი ოქროს მედლით აჯილდოებს იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი ქართული მწერლობისა და კულტურის განვითარებაში.

ამჯერად, 9 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 171-ე წლისთავის დღეს, საგურამოში კვლავ გაიმართა ზემოთ აღნიშნული პრემიებით დაჯილდოება.

ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ილიას ფონდის პრემია (საგურამო) გადაეცა გამოჩენილ პოეტს ჯანსუღ ჩარკვიანს, რომელმაც პრემიის მიღებისას აღნიშნა: სხვადასხვა დროს მიღებული მაქვს თითქმის ყველა პრემია, რაც კი საქართველოში არსებობს, მაგრამ ილიას ფონდის პრემია (შპს „კალასის“ ხელშეწყობითა და თანადგომით) მაინც განსაკუთრებულია, თუნდაც იმით, რომ დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს გადმომეცა.

ქართულ პროზაში შეტანილი წვლილისათვის პრემია მიენიჭა ცნობილ პროზაიკოსს ნოდარ წულეისკირს, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო დაჯილდოების ცერემონიალს და მისი ლაურეატობის დიპლომი გადაეცათ მის შვილიშვილებს.



კრიტიკის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის ილიას ფონდის ლაურეატი გახდა ახალგაზრდა ნიჭიერი კრიტიკოსი ნუგზარ მუზაშვილი.

ლაურეატის დიპლომი და ფულადი ჯილდო გადაეცა ცნობილ ხელოვანს, საქართველოს სახალხო მხატვარს კარლო ფაჩულიას.

ნომინაცია თარგმანში წინა წლებში გამარჯვებულთა პლეადას (თამაზ ჩხენკელი, ჯემალ აჯიაშვილი, ბაჩანა ბრეგაძე, დავით წერედიანი) ამჯერად შეემატა გურამ გოგიაშვილი.

ქართული კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისთვის ილია ჭავჭავაძის დიდი ოქროს მედალი გადაეცა თვალსაჩინო კომპოზიტორს ბიძინა კვერნაძეს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს, ნოდარ წულეისკირს, ნუგზარ მუზაშვილს, კარლო ფაჩულიას, გურამ გოგიაშვილს ილიას ფონდის ლაურეატობას, ხოლო ბატონ ბიძინა კვერნაძეს ილია ჭავჭავაძის დიდ ოქროს მედალს და ახალ წარმატებებს უსურვებს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღეს, როცა ხელისუფლება თითქმის არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რათა თავისი მხარდაჭერითა და თანადგომით ერთგვარად შეაგულიანოს და გული წამოუწიოს ქართული მწერლობისა და კულტურის მოღვაწეებს, უთუოდ მისასალმებელია კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა უშურველი ძალისხმევა, რასაც ისინი უანგაროდ ეწევიან ქართული სულიერების ასაღორძინებლად.

**თეონა მამულაშვილი**

სურათზე: ილიას ფონდის ლაურეატთა ერთი ჯგუფი შპს „კალასის“ წარმომადგენლებთან ერთად საგურამოში დაჯილდოების შემდეგ.

მურმან ჩაჩუას ფოტო.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**XX ეროვნული ჩემპიონატი. X ტური.** „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:2, „მგლები“ – „დინამო“ 0:1, „გაგრა“ – „მესხეთი“ 3:1, „ცხინვალი“ – „ზესტაფონი“ 1:2, „ლოკომოტივი“ – „ოლიმპი“ 0:2. ისვენებდა „ბორჯომი“.

„ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“ – 18-18, „ზესტაფონი“ – 17, „დინამო“ – 16, „სიონი“ – 13, „მგლები“ – 12, „ოლიმპი“, „გაგრა“ – 11-11, „ბორჯომი“ – 10, „მესხეთი“ – 9, „ცხინვალი“ – 3 ქულა.

**16 ნოემბერს ითამაშებენ:** „ოლიმპი“ – „სიონი“, „მესხეთი“ – „ცხინვალი“, „დინამო“ – „ბორჯომი“, „ვიტ ჯორჯია“ – „მგლები“, „ზესტაფონი“ – „ლოკომოტივი“. ისვენებს „გაგრა“.

* * *

**იტალია. XI ტური.** „ინტერი“ – „უდინეზე“ 1:0, „ნაპოლი“ – „სამპდორია“ 2:0, „ლეჩე“ – „მილანი“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 24, „ნაპოლი“, „მილანი“ – 23-23 ქულა.

**ბომბარდირი:** მილიტო („ჯენოა“) – 9 გოლი.

**შემდეგი ტური:** „პალერმო“ – „ინტერი“, „ატალანტა“ – „ნაპოლი“, „მილანი“ – „კიევო“.

**ესპანეთი. X ტური.** „ბარსელონა“ – „ვალიადოლიდი“ 6:0, „ვილიარეალი“ – „ალმერია“ 2:1, „ხეტაფე – „ვალენსია“ 0:3, „რეალი“ – „მალაგა“ 4:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 25, „ვილიარეალი“ – 24, „ვალენსია“, „რეალი“ – 23-23 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) – 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** „უელვა“ – „ბარსელონა“, „მალაგა“ – „ვილიარეალი“, „ვალენსია“ – „ხიხონი“, „ვალიადოლიდი“ – „რეალი“.

**ინგლისი. XII ტური.** „ბლექბერნი“ – „ჩელსი“ 0:2, „ლივერპული“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 3:0, „არსენალი“ – „მანჩესტერი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“, „ლივერპული“ – 29-29, „არსენალი“ – 23 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა („ჩელსი“) – 10 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვესტ ბრომვიჩი“ – „ჩელსი“, „ბოლტონი“ – „ლივერპული“, „არსენალი“ – „ასტონ ვილა“.

**გერმანია. XI ტური.** „კარლსრუე“ – „ლევერკუზენი“ 3:3 (მასპინძელთაგან მესამე გოლი **ალექსანდრე იაშვილმა** გაიტანა), „ჰერტა“ – „ჰოფენჰაიმი“ 1:0, „შალკე“ – „ბაიერნი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლევერკუზენი“, „ჰოფენჰაიმი“ – 25-25, „ბაიერნი“ – 24 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი“) – 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლევერკუზენი“ – „შალკე“, „ჰოფენჰაიმი“ – „ვოლფსბურგი“, „გლადბახი“ – „ბაიერნი“.

თაობა

# ტრადიცია გრძელდება

**დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლის ხელოვნურსაფარიან სარბიელზე ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა თასების თასის მფლობელის, თბილისის „დინამოს“ ყველაზე ტიტულოვანი თაობის ღირსეული წარმომადგენლის ვაჟა ჟვანიას სახელობის ტურნირი ნორჩ ფეხბურთელთა შორის.** ტრადიციისამებრ, აღნიშნული ასპარეზობის კურატორი გახლდათ ამავე სასწავლებლის დირექტორი იოსებ ხუციშვილი, ხოლო ორგანიზატორი – სპორტის ესთეტიკისა და კულტურის კათედრის გამგე ვახტანგ ბაქანიძე.

ვაკე-საბურთალოელთა და მთაწმინდა-კრწანისელთა საინტერესო ბატალიების ფინალური





შეხვედრები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ასე დასრულდა:

**უმცროსები:** 57-ე საჯარო სკოლა – სენტ-ეკზიუპერის სახელობის ფრანგული კოლეჯი (დირექტორი იზა ჯინჯიხაძე) 6:0.

**უფროსები:** 102-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – რამაზ წიკლაური) – 57-ე საჯარო სკოლა 5:4.

შეჯიბრების გამორჩეულ მონაწილეებს გადაეცათ ვაჟა ჟვანიას ავტოგრაფით დამშვენებული სამახსოვრო პრიზი – წიგნი „ისწავლე ფეხბურთი“ (ავტორი – ჯელ ჰარვერი, მთარგმნელი – ნოდარ მანჩხაშვილი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

კალათბურთი

# ბრძოლას რეზერვიც იგებს



**სუპერლიგის IV ტური სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდისა და „მაქაბის“ მატჩით გაიხსნა.**

სტუდენტებმა მეოთხე წუთისთვის მიხეილ ბერიშვილის ძალისხმევით (8 ქულა) სოლიდური მარაგის შექმნა მოასწრეს და უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე ლოგიკურ გამარჯვებამდე – 78:59 (28:13, 14:15, 22:15, 14:16). მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას – ჯამლეტ ხუხაშვილის შეგირდებმა ორი პერიოდი მოიგეს, თუმცა ნუ დაგაბნევთ ეს ფაქტი – მიხეილ კობეშავიძემ ამ დროს სარბიელზე რეზერვისტები შეუშვა და მეტოქეს, ნებსით თუ უნებლიედ, მდგომარეობის დროებით გამოსწორების საშუალება მისცა.

**ყველაზე შედეგიანები:** ტყეშელაშვილი, გვიმრაძე – 14-14, ჩარჩიბაია, მიხეილ ბერიშვილი – 13-13 ქულა (სსსუ); კილაძე – 11, ლონდარიძე, ახმედიანი – 10-10 ქულა („მაქაბი“).

XVIII ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტებმა „ბათუმმა“ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოგეხსენებათ, სტარტი შეკრების გარეშე აიღეს, ამიტომ სავარაუდო იყო, რომ მათი შეხვედრის ბედს შედარებით უკეთესი ფუნქციონალური მომზადება გადაწყვეტდა. ასეც მოხდა – ზღვისპირელებს წარმატების მოსაპოვებლად ბრძოლის პირველ ნახევარში მიღწეული უპირატესობა ეყოთ – 73:62 (15:9, 24:11, 9:16, 25:26). დავძენთ, რომ ძალოვნებს უბერებელი ცხვედიანი აკლდათ.

**ყველაზე შედეგიანები:** იმნაძე – 17, კეშელავა – 13 ქულა („ბათუმი“); გოლეთიანი – 17, ნინუა – 13, აბულაძე – 11 ქულა (შსს).

დღის ცენტრალური დუელის – „ენერჯი ინვესტისა“ და თსუ-ს შედეგი მნიშვნელოვანწილად რუსთაველთა თავკაც დავით უსტიაშვილის მიერ შემუშავებულმა სტრატეგიამ განსაზღვრა. მან აქცენტი ფარქვეშ ბრძოლაზე გადაიტანა და არც შემცდარა – უგრეხელიძემ, ბაბიაშვილმა და ტუჯანიმ პირწმინდად დაჯაბნეს ოპონენტები – 81:69 (29:21, 10:15, 20:10, 22:23).

**ყველაზე შედეგიანები:** ლეჟავა – 19, ტუღუში – 17 ქულა („ენერჯი ინვესტი“); შანიძე – 20, მარკოიშვილი – 19 ქულა (თსუ).

ნტდ „თბილისი“ – „დინამო“ 80:66. ისვენებდა „ავიამშენი“.

„ენერჯი ინვესტი“, ნტდ „თბილისი“, სსსუ – 3-3, „ავიამშენი“, „ბათუმი – 2-2, თსუ, შსს, „დინამო“ – 1-1, „მაქაბი“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ენერჯი ინვესტი“ – „დინამო“, „ბათუმი“ – ნტდ „თბილისი“ (14 ნოემბერი), თსუ – შსს, „ავიამშენი“ – „მაქაბი“ (16 ნოემბერი). ისვენებს სსსუ.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

რაგბი

# მეშვიდედ — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



**გასულ უქმეებზე დამთავრდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი.** ფინალში ქვეყნის პირველობის ექვსგზის გამარჯვებული „ლოკომოტივი“ და „ლელო“ შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი დაძაბული გამოდგა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ანგარიში მხოლოდ მე-20 წუთზე გაიხსნა – ზუსტი საჯარიმო დარტყმით ჯოგლიძემ ლელოელები დააწინაურა, თუმცა ორიოდე წუთში კვინიხიძემ წონასწორობა აღადგინა. ცოტა ხნის შემდეგ მეტოქეებმა კიდევ ერთხელ გაცვალეს ზუსტი საჯარიმოები, ტაიმის მიწურულს კი გენებაშვილმა რკინიგზელები დააწინაურა – 11:6.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა“ ტურაშვილის ლელოთი ანგარიშში სხვაობა ათამდე გაზარდა. საბოლოოდ რკინიგზელებმა იძალეს 19:9 და ქვეყნის ჩემპიონობა მეშვიდედ მოიპოვეს.

საგულისხმოა, რომ „ლოკომოტივმა“ 30 წლის წინათ პირველად დაიმსახურა ყოფილი საბჭოთა კავშირის თასი. ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს რაგბის კავშირმა იმ ლეგენდარული გუნდის წევრები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა, ხოლო აწ უკვე ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონებმა 350 000 ლარი დაიმსახურეს.

ინტერნეტიდან

## ვინუს უილიამსი პირველია



**ყატარის დედაქალაქ დოჰაში დასრულდა მსოფლიოს წამყვან ჩოგბურთელ ქალთა წლის დასკვნითი ტურნირი რვა დიდოსტატის მონაწილეობით. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთელი ვერა ზვონარიოვა და ამერიკელი ვინუს უილიამსი.** განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა პირველი სეტი, რომელიც რუსეთელის გამარჯვებით დამთავრდა – 7:6, შემდეგ ორ სეტში კი ამერიკელმა, როგორც იტყვიან, „ქვა ქვაზე აღარ დაუტოვა“ ვერას და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა – 6:0, 6:2.

ვაჟთა ფინალური შეჯიბრება კი შანხაიში მიმდინარეობს. იქ პირველ დღეს, ოქროს ჯგუფში რუსეთელმა დავიდენკომ სძლია ფრანგი ცონგას – 6:7, 6:4 და 7:6, ხოლო სერბმა ჯოკოვიჩმა ორ სეტში არგენტინელი დელ პოტრო დაამარცხა – 7:6 და 6:3.

ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 4450000 დოლარია.

## დაველოდოთ 20 დეკემბერს?



**როგორც იქნა, გადაწყდა, რომ WBA ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში რუსეთელი ნიკოლოზ ვალუევი 20 დეკემბერს გამართავს ბრძოლას მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონთან ევანდერ ჰოლიფილდთან. ორთაბრძოლა ციურიხშია დანიშნული.**

ალბათ, იცით, ადრე 46 წლის ჰოლიფილდთან შეხვედრაზე უარს ამბობდა ვალუევის გუნდი, რის მიზეზადაც ოსტატობაში განსხვავებას ასახელებდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც დათანხმდა, რადგან სხვა მეტოქე არ გამოინახა.

## წინასწარ განზრახული მკვლელობა?

**ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები იმასაც ძნელად იჯერებდნენ, რომ რუსეთის პრემიერ-ლიგაში აღარ თამაშობდა მოსკოვის „ტორპედო“, ერთ დროს მხოლოდ რუსეთის კი არა, მთელი ყოფილი სსრ კავშირის ფეხბურთის სახეს რომ წარმოადგენდა, ახლა კი სასიქადულო კლუბი რუსეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონსაც კი ტოვებს, რაც საშინელებად მიაჩნია ავტოქარხნელთა სახელოვან პატრიარქს, ერთ დროს მის შეუდარებელ მოთამაშეს და შემდეგ მთავარ მწვრთნელს ვალენტინ ივანოვს.**

გულშემატკივრებს თავიანთი საყვარელი გუნდის ასეთი ჩავარდნა წინასწარგანზრახულ მკვლელობად მიაჩნიათ, რასაც, უპირველესად, კლუბის დირექტორთა საბჭოს თავკაცს ვლადიმერ ალიოშინს აბრალებენ.

ახლა იმასაც ამბობენ, ფეხბურთის ოქროს ფონდში შესული დიდი ტრადიციების გუნდი, შესაძლოა, კლუბ „მოსკვას“ შეუერთდესო.

## ბორიელო კინოს ამჯობინებს

**განა ჭორებს მუდამ დაეჯერება? ეს კარგად იცის იტალიური „მილანის“ თავდამსხმელმა მარკო ბორიელომ. მას თითქმის არაფრად ჩაუგდია მთელ იტალიაში აგორებული ჭორი, თითქოს მის სატრფოს ბელენ როდრიგესს რომანი აქვს მსახიობ მასიმო ჩივაროსთან.**

ბელენი და მასიმო მონაწილეობენ შოუში „უკანასკნელი გმირი“, ამიტომაც მათ ხშირად ხედავენ ერთად. ბორიელომ განაცხადა, რომ მას სწამს თავისი არგენტინელი გულისვარდის ერთგულებისა.

„მე არაფერი ვიცი, თუ რა ხდება იქ, კუნძულზე, საღამოს ვარჯიშის შემდეგ მე კინოს ყურებას ვამჯობინებ – განაცხადა ფეხბურთელმა, – მე ამ შოუს აღარ ვუყურებ მას შემდეგ, რაც ჭორები აგორდა. კუნძულზე ყოველი ჟესტი ხომ საზოგადოებისა და პრესის სამსჯელო ხდება. თანაც პრესა მუდამ ცდილობს რაღაც საზიზღრობების გამონახვას. მე ეს მომწყინდა“.



გვწერენ

# ისტორიული ფოტოსურათი



**26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ფოტოსურათი ისტორიული მნიშვნელობისაა. იგი პირველად გამოქვეყნდა, მაგრამ საკვირველია, ასეთი ისტორიული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი რატომ იყო მივიწყებული. საქმე ეხება 1945 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობა-მცხეთობის დღესასწაულის დროს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძის (1932-1053ძ მიერ მოსკოვის და სრულიად რუსეთის ეკლესიის პატრიარქის ალექსი I-ის (1945-1970ძ კურთხევას. საინტერესოა ისიც, რომ გარკვეული მიზეზების გამო ამ ისტორიული ფაქტის შესახებ არც რუსულ და არც ქართულ პრესაში არაფერი არ დაწერილა.**

როგორც ცნობილია, 1945 წელს გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი (1925-1945ძ. დღის წესრიგში დადგა ახალი პატრიარქის კურთხევა. რუსეთის ეკლესიის სინოდმა ასეთ კანდიდატად შეარჩია ალექსი I. დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის მიერ და სად მოხდებოდა ახალი პატრიარქის ტახტზე აყვანის ცერემონია. ამ დროს მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. საბჭოთა კავშირის მთავრობას ბევრ ქვეყანასთან არ ჰქონდა მოგვარებული საქმე სათანადო დონეზე. ამის გამო ალექსი I-ის ინტრონიზაცია საზღვარგარეთ, რომელიმე მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის მიერ კატეგორიულად გამოირიცხა. როგორც ისტორიული ჩანაწერებიდან და გადმოცემებიდან ჩანს, ასეთ სანდო პიროვნებად რუსეთის სინოდმა მიიჩნია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. მაშინ საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ მსოფლიოში სტალინის ავტორიტეტი განუზომელი იყო. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ეს იდეა იოსებ სტალინს ეკუთვნის. იოსებ სტალინი და კალისტრატე ცინცაძე ერთმანეთს კარგად იცნობდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროიდან. მათი ურთიერთობა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. დიდი სამამულო ომის დროს ქართულმა ეკლესიამ საკმაო ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა სახელმწიფოს, სამაგიეროდ, ომის დამთავრების შემდეგ იოსებ სტალინმა კალისტრატე ცინცაძეს საჩუქრად გამოუგზავნა ძვირფასი ავტომანქანა „ზიმ“-ი.

ამ 30 წლის წინათ ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში ასეთი საინტერესო ფაქტი წავიკითხე: მოსკოვში სტუმრად მყოფი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე კრემლში იოსებ სტალინის სანახავად მისულა. როდესაც დაცვას სტალინისთვის მოუხსენებია პატრიარქის სტუმრობა, მას მოკლედ უთქვამს, ხვალ 12 საათზე მობრძანდესო. მეორე დღეს დათქმულ დროს კალისტრატე ცინცაძე მივიდა კრემლის კომენდატურაში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი. როდესაც კაბინეტში შესულა, სტალინი ფეხზე წამომდგარა და ღიმილით შეგებებია ყმაწვილკაცობის მეგობარს. აქეთურ-იქითური რომ მოუკითხავთ, სტალინს კალისტრატე ცინცაძისთვის უკითხავს: ღმერთის უფრო გეშინია თუ ჩემიო. ვატყობ ჩემი მოგერიდა, გუშინ კრემლის კომენდატურაში ანაფორით მოხვედი და დღეს თბილისელი თერძის შეკერილი კოსტიუმითო.

რაც შეეხება მცხეთაში რუსეთის პატრიარქის კურთხევას, ამის შესახებ საინტერესო მოგონება გადმომცა ბატონმა დავით ჭოლოკავამ 1999 წლის აპრილში. ასევე საინტერესო მოგონება ჰქონდა ცნობილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს, რომელიც მაშინ სრულიად ახალგაზრდა არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა მცხეთაში, არმაზში. ცნობილ ისტორიკოს სიმონ ჯანაშიას ეს ღიური რომ წაუკითხავს, ანდრია აფაქიძისთვის ასე უთქვამს: შენ ამით ჩვენს ისტორიას მეტად საინტერესო ფაქტი შემოუნახეო.

**დურმიშხან ცინცაძე**

**P. S. სხვათა შორის, ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში, კალისტრატე ცინცაძის ფონდში, ინახება 1945 წლის 14 ოქტომბერს გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული არიან მაშინდელი ინტრონიზაციის მთავარი მოქმედი სასულიერო პირები რუსეთის, საქართველოს და სომხეთის ეკლესიებიდან.**

კრიმინალი

# უცხოელები ყოველთვის მართლდებიან

**საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი მუდმივად დახმარების იმედად სხვის ხელებში შემყურე ხელისუფლები ყოველთვის ცდილობდნენ ქვეყნის შიგნით უცხოელებსა და ადგილობრივებს შორის მომხდარი ინციდენტები შეძლებისდაგვარად ჩაეფარცხათ, დამნაშავეებად აუცილებლად ჩვენი მოქალაქეები გამოეყვანათ, თუ სიტუაციას გამწვავების პერსპექტივა ჰქონდა, უცხოელი საერთოდ მოეცილებინათ საქართველოდან.**

ასე იყო ბულგარეთის მოქალაქე მარინოვის შემთხვევაში, როდესაც მან წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა სამსახურებრივი ტრანსპორტით თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან, მშობლების თვალწინ გასრისა ორი ახალგაზრდა. მძღოლი არც დაუკავებიათ, მიუხედავად დამახასიათებელი ქცევებისა, მისთვის ალკოჰოლზე ექსპერტიზაც არ ჩაუტარებიათ. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ კი შეადგინა ნახაზები, სადაც აშკარად იკვეთებოდა ბულგარელის ბრალეულობა, მაგრამ ნახაზები გაქრა. საბოლოოდ წითელი ჯვრის წარმომადგენელი საქართველოდან გაიწვიეს. დამნაშავენი ჩვენი ფეხით მოსიარულე მოქალაქეები ყოფილან, რომელთაც მოძრაობის უსაფრთხოების წესები დაურღვევიათ.

თითქმის იგივე განმეორდა თბილისი-ლესელიძის მაგისტრალზე, როდესაც თურქული ფირმის ცარიელმა „იკარუსმა“ საპირისპირო მხრიდან მომავალ (თბილისი-ბათუმიძ თორმეტკაციან „ჰონდას“ გადაუარა. შედეგად 8 გარდაცვლილი ჩვენი მოქალაქე, კიდევ ორი სამუდამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის სავარძელს. საქმე ის იყო, რომ იკარუსი თვითონ გადავიდა მოძრაობის საწინააღმდეგო ზოლში და მოახდინა ავტოავარია. ყველა თვითმხილველის განმარტებით, თურქი მძღოლი უგონოდ მთვრალი იყო, იგი პოლიციელებმა ხელში აიყვანეს და ისე ჩასვეს ოპერატიულ მანქანაში. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ დამნაშავე „ჰონდას“ გარდაცვლილი ქართველი მძღოლი აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის უფრო ძვირფასი ყოფილა წითელი ჯვრისა და თურქული ტურისტული ფირმის დაცვა, ვიდრე საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვა, სიმართლის დამტკიცება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

* * *

**გორის რაიონის სოფელ სვენეთის ჩასახვევთან 25 ივლისს საპირისპირო მხრიდან დიდი სიჩქარით მიმავალმა ტრაილერმა „ოპელს“ გადაუარა. თვითმხილველების გადმოცემით „ოპელმა“, რომლის საჭესთან გურამ მაისურაძე იჯდა, მოხრეშილი გზიდან უცებ ამოუხვია გზატკეცილზე. ამ ჯართით დატვირთულ თურქულ ტრაილერს, რომელსაც იმქვეყნისავე მოქალაქე მართავდა (ვინაობას პოლიცია საგულდაგულოდ ასაიდუმლოებსძ, მსუბუქ მანქანამდე 40-50 მეტრი აშორებდა. ტრაილერმა სვლას არ უკლო „ოპელი“ შეჰყოვნდა. მოხდა დაჯახება.**

თვითმხილველები და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ერთხმად აცხადებენ, რომ შეჯახება გურამ მაისურაძის გამო მოხდა. მაგრამ მოქალაქეების (და არა პოლიციელებისძ აღშფოთებას იწვევს ის, რაც შეჯახების შემდეგ მოხდა. ტრაილერმა არც დაჯახების შემდეგ უკლო სიჩქარეს. თურქმა მძღოლმა 60-70 მეტრი ათრია „ოპელი“, მსუბუქი ავტომანქანა ამობრუნდა. ტრაილერმა მას გადაუარა და ყველა მისი მგზავრი გასრისა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა თურქული მანქანის იძულებითი გაჩერება.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა „ოპელის“ 5 მგზავრი. მძღოლი გურამ მაისურაძე, და ნონა და მისი არასრულწლოვანი შვილები 8 წლის ნიკა და 6 წლის თინიკო, მათივე ნათესავი 18 წლის გიორგი კაველიძე.

* * *

**ოჯახური ტრაგედიის პირობებში არავის უცდია თვალყური ედევნებინა, თუ რამდენად ობიექტურად მიმდინარეობდა გამოძიება. დაკრძალვის შემდეგ, როდესაც მაისურაძეების ოჯახს სამართალდამცავთაგან ჩვენების მისაცემად არავინ მიაკითხა, დაზარალებულები თვითონ მიადგნენ პოლიციას. გაირკვა, რომ მათ არც კი ჩაუტარებიათ სასამართლო ექსპერტიზა.** მხოლოდ ავტოავარიიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ მაისურაძეებს უპასუხეს, რომ დასკვნის შედეგით გურამ მაისურაძის სისხლში აღმოჩენილა 0,7 გრამი ეთილი, რაც ნიშნავს, რომ იგი უზომოდ მთვრალი მართავდა მანქანას. ასეც რომ ყოფილიყო, რის საფუძველზე მიიღეს პასუხი, მაშინ, როდესაც მაისურაძის სისხლის ანალიზი ადგილზე არავის აუღია. კატასტროფის შემდეგ კი ყველა გარდაცვლილი სახლში წაასვენეს. პანაშვიდების დროს მათთან არავინ მისულა, ოჯახისთვის არც გვამის ექსგუმაციის უფლება უთხოვიათ — ამბობენ ერთბაშად ოჯახის 5 წევრის დაკარგვით შეძრწუნებული ნათესავები.

საქმეს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის საგამოძიებო ნაწილი იძიებს, როგორც ირკვევა, გამოძიება საქმის დახურვას აპირებს. ოჯახის პროტესტს გამომძიებლები პასუხობენ, ავარიის მიზეზი გარდაცვლილი იყოო. თურქი მძღოლი კი ვალდებული არ ყოფილა თუნდაც შეჯახების შემდეგ დაემუხრუჭებინა ტრაილერი. ექსპერტიზას კიდევ ერთი გასაოცარი შედეგი აქვს დაფიქსირებული — ავტოავარიამდე გურამ მაისურაძის „ოპელი“ ტექნიკურად გამართული იყოო. ეს პასუხი არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ ექსპერტებსაც ანცვიფრებთ. როგორ შეიძლებოდა ასფალტზე გაბრტყელებული მანქანის ავარიამდე ტექნიკური გამართულობის დადგენა.

* * *

**გარდაცვლილთა ახლობლები ამბობენ, რომ მომხდარზე ობიექტური შეფასება იმის გამო არ ხდება, რომ ტრაილერი თურქულია, მძღოლი ამ ქვეყნის მოქალაქეა. ჩვენს ხელისუფლებას კეთილი მეზობლის როლის თამაში სურს და არ უნდა ორ ქვეყანას შორის მცირეოდენი პრობლემაც კი შეიქმნას. საქართველო ხომ ბევრი რამითაა მეზობელზე დამოკიდებული.**

იურისტები არაობიექტურობის მიზეზს სხვა რამეში ხედავენ — ხელისუფლებას არ სურს მაისურაძეების ოჯახის ტრაგედიის დადასტურება, რათა ცოცხლად დარჩენილ მცირეწლოვანებს არასრულწლოვანობამდე უხადოს ფული. გურამ მაისურაძის ბავშვებს დამატებით სიცოცხლის დაზღვევისათვის 7 ათასი ლარიც ეკუთვნით. იურისტების მოსაზრებით ხელისუფლებისათვის ამგვარი ქმედებები არახალია...

**ზაზა ბილიხოძე.**

## განცხადება

**სსიპ „სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ სამეცნიერო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს უმაღლესი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს მუშაობის არა ნაკლებ 5 წლის სტაჟი აღნიშნულ სფეროში.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CVძ;
3. უმაღლესი განათლების ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. ინსტიტუტის განვითარების ხედვა — სამოქმედო პროგრამა;
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბუთები სამეცნიერო საბჭოს სამდივნოში 2008 წლის 20 ნოემბრამდე. კონკურსის ბოლო ვადაა 25 ნოემბერი.

**ტელ: (822ძ 22-05-47.**
**მობ: 899 51-54-39.**
**საფოსტო მისამართი: 0162, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №82.**
**ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №82.**

**Georgia, Ministtry of Education and science**
**Agricultural Biotechnologic Centre**
**Georgia, Tbilisi, Chavchavadze N82**
**Tel: (822) 22-05-47**
**Mob: 899 51-54-39**

დირექტორის მოადგილე
**კონსტანტინე ლიპარტია**

ⓞ შენ, სისხლო ჩემო!..

# ქართული სუნთქვა და ღიმილი

**ჩემს პირველ ჩანახატში („ღმერთი არ გაუწყრეს ვინმეს!" – „საქართველოს რესპუბლიკა" 17.X.08 წ.) იმაზე მოგიყევით, ტაო-კლარჯეთში შემთხვევით გაცნობილმა თურქმა თუ როგორ გაგვივსო ორი დიდი ტომარა კიტრითა და პამიდვრით და საგზლად გამოგვატანა. მანამდე კი, არსიანის ქედის ციხეკიბულს გადავუარეთ და წინ ნისლი და ბურუსი შემოგვეგება.** თვალი ვერ ხედავდა, მაგრამ გულით ვგრძნობდით უფსკრულებსა და ხეობებს უძველეს ქართულ მიწაზე. „ფოლცვაგენი" ტაატით მიიკვლევდა გზა-შარას თავდაღმართზე და სულგაკმენდილი ვებრძოდით შიშსა და სევდას! აქ, ამ ღრუბლებს ქვეშ იდო ტაო-კლარჯეთი, უძველესი ლაზიკა! მერე, როგორც იქნა, მზემ გამოანათა და თავისი ვიწრო ქუჩებითა და ფოლორცებით შემოგვლიმილა შავშეთმა, – წინაპართა საქართველომ! შუადღის ჟამს, ქალაქის შესასვლელთან, წყაროსპირს, მუხლი მოვიყარეთ და ამოვისუნთქეთ.

მოლა ყიოდა, უხმობდა თავის მრევლს და აქ ჯვარის ხსენებაც კი ღვთის რისხვად მიაჩნიათ თურქებს!

მახსოვს, ამ ხუთმეტიოდე წლის წინათ, მამა არჩილს (მინდიაშვილს) ქვახლდი კაპადოკიის წმიდა მთაზე. მოვინახულეთ ნევშეჰირისა და კეისარიის კლდეში ნაკვეთი ქრისტიანული სალოცავები და მიწისქვეშა კატაკომბები. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით თუ როგორ გვეკრძალებოდა ქრისტესმიერი ლოცვა-კურთხევა, აშკარად და ღიად. მიუხედავად ამისა, მამა არჩილი სასტუმროების ნომრებში თუ მიუვალ კლდეთა საკნებში ღვთისმშობლისა და ქრისტეს მოწამეთა ხატებს გულმხურვალედ ავედრებდა საქართველოსა და ქართველებს.

ასე იყო ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, თურქეთში ქრისტეს ვერ ახსენებდი, ჯვარი რომ ჯვარია, ისიც მალულად ესვენა ქრისტიან ღვთისმსახურს მკერდზე. მას მერე კაბადოკია მოინახულა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და...

...ახლა კი, ძველებურად ვერავინ გვიკრძალავდა ჯვარსა და „მამაო ჩვენოს", მაგრამ, მაინც, იდგა ჟამი სევდისა და გულდასამდური მოგონებებისა!

შავშეთის წყალი ისევ მოჩხრიალებდა, ისევ ბოზოქრობდა ჭოროხი, ისევ ანათებდა მზე და მწვერვალებზე დანგრეული, ხავსიანი ციხე-ქალაქები იდგნენ, – არტანუჯიო, ბანაო, თამარისაო, ოთხთაო, და კიდევ ვინ იცის რამდენი – ოშკი, „იშხანი, პარხალი, ხახული!...



„თამარის ხიდზე" კი, ახლაც ჭინკაობდნენ თურქი თვალებრდღვიალა ბალღები.

– იცით, რამდენი ხნის არის ეს ხიდი. ან ვინ ააგო? – ვეკითხები მათ. ისინი მხრებს იჩეჩავენ და ერთმანეთს შეჰყურებენ...

– არ შეიძლება ამათ ძარღვებში ქართული სისხლის თუნდაც ერთი წვეთი მაინც არ ერიოს! – თქვა ჩვენმა „გზამკვლევმა" და „შეფმა" ზურაბ სამუშიამ, – აქ ხომ ლაზეთია, საქართველოს ლაზეთი!

– იქნებ ასეცაა, მაგრამ, ახლა მათ ჩვენი არ ესმით, ჩვენ კი – მათი!

ქართულ სამახსოვროებს ვურიგებთ ბავშვებს და თვალებში ღიმილი უკრთით. მერე ვითომ ფარიკაობენ ნაჩუქარი პაწაწკინტელა ხანჯლებით და რიგრიგობით მიწაში არჭობენ „საჩუქარს": არ ვიცი რას ნიშნავს ეს რიტუალი, მაგრამ ვხვდები, „მტერზე" გამარჯვებას უნდა გამოხატავდეს მათი ქცევა. ვინ იყო ეს მტერი, საიდან მოსული და ვისი მტერი? – თურქებისა თუ ქართველთა?

...ბილიკს მიუყვებოდა ახოვანი კაცი, ნათელი შუბლითა და გაბრწყინებული სახით. მოგვიახლოვდა. მანქანასთან შეჩერდა. მანქანის სანიშნე ნომრებს ხელი მიადო და იკითხა ღიმილით:

– თბილისიდან მოდიხართ, ძმებო?

ცა გაიხსნა და ამ გახსნილ ცაზე ალვავლინეთ ჩვენი სიხარული და გაოცება.

– ქართული იცით, მეგობარო?.. ღმერთმა დაგლოცოს!

– ქართული ვიციო?.. როგორ არ მეცოდინება!.. მე ლაზი ვარ, ქართველი, ქართველად დაბადებული!

შორს, ხეობის თავზე, ცაში აღმართულიყო ციხე-კოშკი.

– ჩემი სოფელი იქ არის!.. თამარს აუშენებია ხეობის დარაჯად ის ციხე!.. მე ახლა აქ ვცხოვრობ, შავშეთში. იქაც მაქვს სახლ-კარი, მიწა და მამული!.. მე ისმაილი მქვია!.. თურქული გვარი რად გინდათ... ბექირიშვილი ვარ, ქართულად!..

ცრემლებით გვქონდა სავსე თვალები. ცრემლებით, რომლებიც ახლა გულის სითბოზე და სიყვარულზე მღეროდა!

– თბილისში არა ვარ ნამყოფი!.. ბათუმში კი, ყოველკვირა დავდივარ! მძღოლი ვარ... პატარა ბიზნესი მაქვს... მიხარია ბათუმში ამდენ ქართველს რომ ვხედავ... აქაც ხომ საქართველოა?, ლაზეთის საქართველო! საქართველო კი ერთია ქვეყანაზე! **ქართველს ერთი აქვს სუნთქვა და ღიმილი! და ეს ღიმილი სხვას არა ჰგავს, სულ სხვაა ქართული ღიმილი!.. მანქანის ნომერი რომ არ მენახა, თქვენც ხმა რომ არ ამოგეღოთ, მაინც გიცნობდით, გული გიცნობდათ!**

უბის წიგნაკში თრთოლვით ჩავინიშნე ისმაილ ბექირიშვილის ნათქვამი: – „ქართველს ერთი აქვს სუნთქვა და ღიმილი!" – არსად, არავისგან გამიგონია აქამდე, ასეთი მოჩუქურთმებული ქართული!

გზა მიდიოდა!.. და ჩვენც საქართველოდან საქართველოში მივდიოდით!..

**ზაურ ფიფია,**
**თბილისი – შავშეთი – ართვინი – იუსუფელი – თბილისი.**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა" აცხადებს აუქციონს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი და ზენორმატიული მატერიალურ-ტექნიკური ქონება ჯართის სახით.**

**ქონებაზე რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| ლოტი # | საქონლის დასახელება | ზომის ერთ. | სავარაუდო რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი. | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასტანდარტული შავი ლითონის, შერეული შავი ლითონის და თუნუქის, ალუმინის, უჟანგავი ფოლადის და არასტანდარტული შერეული ლითონის ნაკრები ჯართი. | ტონა | 369,253 | 91500 | 300 |

გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება „ბე"-ს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2008 წლის 11 ნოემბრიდან 2008 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით 10 საათიდან 19 საათამდე. ხოლო 10 დეკემბერს 10 საათიდან 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა", ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 10 დეკემბერს 14 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №90.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

– „ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას" მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ტელ: 95-28-28.**

**მის. ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

გახსენება

# თამაზ შიშმელაშვილის მონატრება



ჩვენო თამაზ, ძნელია გამოვნახოთ სიტყვები და ვთქვათ, რომ 2008 წლის 10 ნოემბერს 2 წელი შესრულდა, რაც შეწყდა შენი მაჯისცემა, განვიცდით, ძალიან განვიცდით, მე, ინგა, როგორც მეუღლე, შვილები: ვაჟა და ვახტანგი, შენი ახლობლები და მეგობრები გიხსენებენ, ენატრებით, რადგანაც შენ იყავი სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, სულგრძელობის, სახიერების, სიკეთის, ერთგულების, სიმართლის განმსახიერებელი.

შენ გულის სითბოს და სიკეთეს უხვად უწილადებდი ოჯახს, შვილებს, ახლობლებს, ჩვენს გულებში დარდი გაიყინა, ყველასთვის მოულოდნელად 50 წლის ვაჟკაცი წახვედი ამ წუთისოფლიდან. შენმა ნათელმა სულმა იმ ქვეყნად წაიღო აუხდენელი ოცნებები და ფიქრები, ცრემლით ვიხსენებთ ყოველ შენს ღიმილს და ხუმრობას.

ოჯახს გამოაკლდი – გამოეცალე ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, კოლეგებს კი – ერთგული და საიმედო ბურჯი. ჩვენო თამაზ, შენი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება იმათ გულებში, ვინც საუკეთესო ადამიანური ღირსებით გამორჩეულს გიცნობდა.

2 წელია რაც წახვედი ჩვენგან დიდად განათლებული, ფართო ერუდიციის მქონე უკიდურესად პატიოსანი ადამიანი. ჩინებული ინტელიგენტი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სიკეთესა და სიყვარულს თესავდი, წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი. შენი სული, ჩვენო თამაზ, უკვე ზეცაშია, შენს წინაპრებთანაა, შენს ახლობლებთანაა, ასე რომ ავსებენ და ამშვენებენ ზეციურ საქართველოს.

როგორც ექიმი, მუშაობდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სისტემაში მთავარ ექიმად, განსაცდელში მყოფი ადამიანებისთვის დროული ყურადღების მიმქცევი და მხარდამჭერი იყავი, რისთვისაც გაფასებდნენ, პატივს გცემდნენ.

შენ, ჩვენო თამაზ, იყავი ბრწყინვალე წარმომავლობის, წარმოსადეგი გარეგნობისა და დიდებულად აღზრდილი ვაჟკაცი.

შენი წასვლა ამქვეყნიდან ტკივილიანი და თავზარდამცემი იყო, ახლა, როცა გიხსენებთ, გვტკივა გული, მაგრამ თავზარდაცემა, სევდა და დარდი შეცვალა შენმა დათესილმა სიკეთემ.

ალბათ, ძალიან გაგიხარდებოდა, გაგეგო შენი შვილების სიკეთე. ვახტანგი დღეს იურისტია, ვაჟა კი მე-6 კლასის მოსწავლეა. ძალიან უყვართ ერთმანეთი. არ შეგარცხვენენ, შენი გვარისანი არიან, უყვარხართ და ყოველდღიურად გიხსენებენ.

შენ, როგორც ქართველი კაცი, იყავი თავმოყვარე, ამაყი, სტუმართმოყვარე, დიდი ღირსების ადამიანი.

ღმერთმა გაანათლოს შენი სპეტაკი სული. მშვიდობით, ჩვენო თამაზ, მარად კურთხეულ იყოს ამქვეყნად შენი ხსენება და მანდ, დიდებულ წინაპრებს შორის განსვენება, სამარადისო პატივი უკუნითი უკუნისამდე.

მეუღლე ინგა, შვილები ვაჟა და
ვახტანგ შიშმელაშვილები, და ეთერ მოლაშვილი.

თამაზ ებანოიძე და თენგიზ მანჯავიძე მწუხარებით იუწყებიან მეგობრის

ბიჭიკო რამიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის უცხოელი წევრის, პროფესორ

ვლადიმერ ჟოჟიკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიკოს გიორგი ციციშვილის მეუღლის

ლიდია ციციშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მოძრაობა „სამშვიდობო ინიციატივა" მწუხარებით იუწყება თავისი აქტივისტის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის

სერაპიონ თეოფანეს ძე მალანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

დაკრძალვა 11 X, ქ. ქუთაისში, კ. გამსახურდიას 85ა.

მოძრაობის სახელით
ალუ გამახარია, ზურაბ ერქვანია, მურად ანჩაფარიძე

## განმეორებითი განცხადება

შესახებ იმისა, რომ ამა წლის 23 ნოემბერს ქ. ქუთაისში, სულხან-საბას 23-ში, 14 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, სადაც ერთ ლოტად გასაყიდად წარმოდგენილი იქნება შპს „ფორტუნას" კუთვნილი ქონება.

შპს „ფორტუნას" გაკოტრების დროებითი მმართველი
თ. ხაჯაპურიძე

## ინფორმაცია

### თურმე უცხოელი ელჩები ოპოზიციას ვერ იტანენ



**„ლეიბორისტები“ საქართველოდან საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ელჩების გაწვევას ითხოვენ.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტების“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, გერმანიის ელჩი პატრიცია ფლორი, საფრანგეთის ელჩი ერიკ ფურნიე და დიდი ბრიტანეთის ელჩი დენიელ კიფი საქართველოს ოპოზიციას ვერ იტანენ.**

ნათელაშვილის განმარტებით, ეს ელჩები თავიანთ ქვეყნებში საქართველოს შესახებ არაობიექტურ ინფომაციებს აგზავნიან, იგნორირებას უკეთებენ განსხვავებულ აზრს და სძულთ ოპოზიცია, რითაც პრეზიდენტ სააკაშვილის ინტერესებს იცავენ.

მისივე თქმით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები სახელისუფლო შეხვედრებზე უკლებლივ დადიან, მაგრამ ოპოზიციის მიერ დაგეგმილ შეხვედრებზე ხშირ შემთხვევებში ან არ მიდიან ან „საელჩოს დამლაგებლების მეექვსე თანაშემწეებს აგზავნიან“, საქართველოს მოსახლეობას კი საკონსულოებში კუთვნილ ვიზებს არ აძლევენ ან რიგში დგომით „სულს აძრობენ“.

ნათელაშვილის განცხადებით, სამივე ზემოაღნიშნული ელჩი ულირს საქციელს სჩადის, რის გამოც „ლეიბორისტები“ საქართველოდან მათი გაწვევის მოთხოვნით ქვეყნების მთავრობებს სპეციალურ მიმართვას გაუგზავნიან.

### ოცდამეერთე საუკუნის მეკობრეთა ქართველი ტყვეები

**დადგენილია სომალელი მეკობრეების მიერ გატაცებული ქართველის ვინაობა. ეს არის ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის მკვიდრი მემედ ქადიძე. იგი დანიის დროშით მცურავი გემის ეკიპაჟის წევრია.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო



აცხადებს, რომ ქადიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამ ეტაპზე კვლავ უცნობი რჩება, თუ რა თანხას ითხოვენ სომალელი მეკობრეები გემის ეკიპაჟის გასათავისუფლებლად.

ამასთანავე, ცნობილი ხდება, რომ უკვე მიღწეულია შეთანხმება დაახლოებით ერთი თვის წინათ დაკავებული გემის, „აქსიონის“ ეკიპაჟის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებას აწარმოებდა გემის მფლობელი კომპანია. მიღწეულია შეთანხმება, რომ გადახდილი იქნება 1.100.000 აშშ დოლარი და ეკიპაჟი გათავისუფლდება.

ამ ეტაპზე დგინდება როდისა და რა გზით მოხდება მეკობრეებისთვის თანხის გადაცემა.

სომალელი მეკობრეების ტყვეობაში რჩება ლიბერიის დროშით მცურავი გემი „ჯენიუსიც“, რომლის ეკიპაჟის შემადგენლობაში ექვსი ქართველია. ამ გემთან დაკავშირებით მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდება.

### ნაღმი ვერ იპოვეს

**როგორც ავეჯის ბაზრობა „საბას“ თანამშრომლებმა განაცხადეს, დაცვის სამსახურში 11 საათისთვის გუშინ სატელეფონო ზარი შევიდა, რომ ბაზრობის ტერიტორია დანაღმული იყო.**

ზარის შემდეგ ბაზრობაზე უშიშროების სამსახურის, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის წარმომადგენლები და გამნაღმველები მივიდნენ.

როგორც გამნაღმველები აცხადებენ, პირველადი დათვალიერებით ტერიტორიაზე ნაღმი აღმოჩენილი არ არის, მაგრამ რაიმე ექსცესის თავიდან ასაცილებლად ტერიტორიის შესწავლა 24 საათის განმავლობაში გაგრძელდება.

მოვაჭრეებსა და ავეჯის შექმნის მსურველებს ბაზრობის ტერიტორიაზე შესვლა დღეს, 12.30 საათისთვის შეეძლებათ.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, პოლიციისთვის ზარის ავტორის ვინაობა უკვე ცნობილია.

### ზედამხედველობას ამკაცრებს

**საპატრულო პოლიცია დღეიდან სამარშრუტო ტაქსებზე ზედამხედველობას ამკაცრებს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ საკითხზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გრიგალაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა.

ქალაქში ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ყველა მძღოლი სიფხიზლის ტესტზე შემოწმდება. ასევე, მკაცრი რეაგირება იქნება სიჩქარის გადამეტების ფაქტებზე.

### პეტერბურგში ბაგრატიონის ძეგლის დადგმას აპირებენ

**როგორც სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძეგლის პროექტზე პეტერბურგში კონკურსი გამოცხადდა.**

ძეგლი პეტერბურგში, სავარაუდოდ, პიონერთა მოედანზე დაიდგმება.

კონკურსის პირობებით მონუმენტი ბრინჯაოში ან გრანიტში უნდა შესრულდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## გამოცემა

### განხილულია ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიის საკითხები

**გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა და საზოგადოებას მიაწოდა ცნობილი არმენოლოგის ბონდო არველაძის ნარკვევების კრებული „ეტიუდები ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან“.**

კრებულში შესულია ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები და ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ქართული და სომხური ურთიერთობის ისტორიის საკითხები. კრიტიკულად არის გაანალიზებული ზოგიერთი სომეხი მეცნიერის ანტიქართული პუბლიკაციები. ნაჩვენებია ამ მეცნიერთა მიერ გამოთქმული უსაფუძვლო პრეტენზიები უძველესი ქართული მიწა-წყლისა და ძველი ქართული ეკლესიების მიმართ.




წიგნში შესულია, აგრეთვე, სტატიები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრზე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირზე, აღიარებულ ქართველ კონსტრუქტორ-გამომგონებელზე ალექსანდრე ნადირაძესა (წიგნი ა. ნადირაძის ხსოვნას ეძღვნება) და გამოჩენილ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეზე მიხეილ თამარაშვილზე და სხვ.

წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია არველაძე.

**სანდრო ალექსიძე**

## განცხადება

**2009 წლის 7 იანვარს, 12 საათზე, შპს „გრავიტა ჯორჯიას“ ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №3) გაიმართება ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორების ტყვიის ჯართის ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორების ტყვიის ჯართის და ნარჩენების გადამუშავება და მეტალური ტყვიის წარმოება.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

● შპს „გრავიტა ჯორჯიას“ ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №3.

● სამეცნიერო-კვლევით ფირმა „გამას“ ოფისში – ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 2 იანვრის 18 საათამდე.

**შპს „გრავიტა ჯორჯიას“ დირექცია**

## კადრი



**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

– ვისაც თავი სულელად მიაჩნია, ფეხზე წამოდგეს, – ამბობს მასწავლებელი.

კლასში სიჩუმეა. მერე მიხო წამოდგება ფეხზე.

– მიხო, შენ რა, თავი სულელად მიგაჩნია?



– არა, უბრალოდ უხერხულია, რომ მარტო თქვენ დგახართ ფეხზე.

* * *

ქალი ავტობუსით მგზავრობს.

ხედავს, რომ მთვრალ მამაკაცს შარვალი გახსნილი აქვს და ფიქრობს, როგორ მიანიშნოს მას ამის შესახებ უფრო დელიკატურად.

– ბატონო, თქვენი მაღაზია ღიაა.

– ჰო? მერე დირექტორი ჩანს შიგ?

– არა, იქ მხოლოდ ტომრებზე წამოწოლილი მთვრალი მტვირთავი ჩანს...

* * *

– რა აზრი აქვს მატარებელთა მოძრაობის განრიგის შედგენას, თუ მატარებლები მუდამ იგვიანებენ?

– საიდან გაიგებდით მატარებლები იგვიანებენო, ეს განრიგი რომ არ ყოფილიყო?

* * *

მიხო იმდენად ზარმაცი იყო, რომ უთენია ილვიძებდა, რათა, რაც შეიძლება დიდხანს არ ეკეთებინა არაფერი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.